ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## ტარიელ ფუტკარაძე: „ბათუმის თურქული სკოლის გარშემო არსებული გაუგებრობა ამოიწურება“

გვ.6

ორშაბათი, 26 სექტემბერი, 2016 №228 (7154) ფასი: 50 თეთრი

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს წინ ვერ დაუდგება“



გვ.2



## ნაციონალები ბათუმში შეიკრიბნენ



ლადო სადღობელაშვილი: „ქოცების უნიათობამ ხალხს ნაცების სისხლიანი 9 წელი მიავიწყა“

## „ნაციონალები მაშინ დაბრუნდნენ, ღარიბაშვილი პრემიერობიდან რომ წავიდა“

გვ.2



გვ.4

## ზვიად ჩიტიშვილი: „ბურჯანაძემ უნდა დაამტკიცოს, რომ ნაციონალებთან არ არის შეკრული“

რას ითხოვს „თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლო“ დემოკრატიული მოძრაობისგან



გვ.3

„საარჩევნო სიები მაქსიმალურად არის აბურდული“

## მამუკა არეშიძე: „ნაციონალები მუშაობენ იმაზე, რომ „ოცნებას“ არჩევნების გაყალბება დაბრალდეს“

ISSN 1987-9385

## რა მოხდა ქვემო ქართლის ტელევიზიაში

ფოლად ხალილოვი: „მარნეული ეთნიკური კონფლიქტის წინაშე იდგა“




გვ.5

## სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყალბი ფულის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

გვ.2

# „ნაციონალები მაშინ დაბრუნდნენ, ღარიბაშვილი პრემიეროზიდან რომ წავიდა“

შორენა მარსაგიშვილი

**რაზე დაყრდნობით აკეთებს სააკაშვილი სკანდალურ განცხადებებს, რატომ აღარ დაუჭერს ხალხი მხარს „ოცნებას“, რა პროცესები დაიწყება 1 ოქტომბრიდან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „თავისუფალი თაობის“ ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.**



ლადო სადღობელაშვილი: „ქოცების უნიათობამ ხალხს ნაცების სისხლიანი 9 წელი მიავიწყა“

**ლადო სადღობელაშვილი:**

– დღეს მთელი საქართველო მიხეილ სააკაშვილის იმ განცხადებებზე საუბრობს, რომლებიც მან ამ დღეებში ფეისბუქითა და სატელეფონო ჩართვისას გააკეთა. პირადად ჩემთვის მის მიერ ნათქვამი არცერთი სიტყვა ახალი არ იყო. ხელისუფლების შეცვლის დღიდან ვამტკიცებ, რომ პოლიცია და ჯარი ისევ ნაციონალების მიერ კონტროლდება. სამწუხაროდ, ამას ყურადღება არავინ მიაქცია. გადამწყვეტ მომენტში ისინი ნაციონალების გვერდით დადგებიან. მათი დახმარებით დამნაშავე რეჟიმი ხელისუფლებაში დაბრუნებას უფრო მარტივად შეძლებს. ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ არჩევნებზე ჯარი და პოლიცია სააკაშვილს დაუჭერენ მხარს.

***– ჯარსა და პოლიციაში შესაძლოა ვიღაცას მართლაც ესიმპათიურება ნაციონალები, მაგრამ, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ეს სტრუქტურები მთლიანად სააკაშვილს უჭერენ მხარს?***

– ყველა, ბუნებრივია, არ უჭერს ნაციონალებს მხარს, მაგრამ დიდი ნაწილი ისევ ყოფილ ხელისუფლებას მისტირის. მე დანამდვილებით ვიცი, რომ პოლიციელთა დიდი ნაწილი ვანო მერაბიშვილს მისტირის და ერთი სული აქვთ, როდის დაუბრუნდებათ ხერხემალი. თავდაცვის სამინისტროში გაცილებით უკეთესად იყო მდგომარეობა, მაგრამ ირაკლი ალსანიამ და თინა ხიდაშელმა ყველაფერი თავდაყირა დააყენეს.

***– რა ჩაიდინეს?***

– ერთიც და მეორეც ნაციონალების დანამატები და მათი გზის გამგრძელებლები არიან. ალასანიამ ზონდერები და სხვა დამნაშავეები სამსახურიდან არ გაუშვა. ვითარება მინდია ჯანელიძის თავდაცვის მინისტრობის დროს შეიცვალა, მაგრამ ის ცოტა ხანს იყო ამ პოსტზე. როგორც კი სამხედრო უწყება თინა ხიდაშელმა ჩაიბარა, მაშინვე დააბრუნა ნაციონალები უწყებაში.

ჯარში დიდად არ უყვართ სააკაშვილი, მაგრამ არც „ოცნება“ მოსწონთ. გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მიიღებენ, რა ბრძანებაც ვაშინგტონიდან მოუვათ. ვაშინგტონში კი ნაციონალები ესიმპათიურებათ. ისე, „ოცნებასაც“ რომ დაუჭირონ მხარი, ამით მაინც ყოფილი ხელისუფლება დარჩება გამარჯვებული. იმდენი ნაციონალია დღეს „ოცნებაში“, უკვე ძნელია იმის გარკვევა, რომელი რომელია. ამიტომაც დავარქვი „ქართულ ოცნებას“ ნაცოცები. ეს ყველაფერი ამერიკის დავალებით მოხდა.

პოლიციისა და ჯარის გარდა, სააკაშვილს სხვა უწყებებშიც ჰყავს მხარდამჭერები. ისინი საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე სხედან. ამიტომაც ნაციონალებმა ზედმიწევნით კარგად იციან, რა ხდება ხელისუფლების კულუარებში. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ამბავი „ქართულ ოცნებას“ არ აწუხებს. ისინი უკვე შეეგუნენ იმ აზრს, რომ ნაციონალები უნდა დაბრუნდნენ. პრინციპში, ისინი უკვე დაბრუნებულებიც არიან. ოფიციალურად ეს არჩევნების შემდეგ გაფორმდება.

***– მათი დაბრუნება რით გამოიხატება?***

– რომელი ერთი მაგალითი მოგიყვანოთ? გადახედეთ „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატებს. მათი უმეტესობა ყოფილი ნაციონალია, ხელისუფლების მზის ქვეშ კი იმ ბიზნესმენებმა დაიკავეს ადგილი, რომლებიც ნაციონალების ხარკის გადამხდელები იყვნენ და იმ საშინელ რეჟიმს აფინანსებდნენ.

***– ირაკლი სესიაშვილმა მათზე თქვა, რომ ისინი არა იმ საშინელი რეჟიმის დამფინანსებლები, არამედ რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ.***

– რეჟიმის მსხვერპლი არა ფლავი. ვინ იყო რეჟიმის მსხვერპლი, რურუების ძმაკაცი ზარალა, იგივე გიორგი რამიშვილი? კახა ოქრიაშვილზეც ვერავინ იტყვის მაგას.

***– გიორგი რამიშვილმა ამ დღეებში ივანიშვილთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ბიზნესი ახლა თავისუფლად სუნთქავს.***

– მაგას არც მაშინ უჭირდა სუნთქვა, მაგრამ ახლა ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია. მაშინ 8 კაცს უყოფდა ფულს, ახლა 1 კაცს უყოფს. ასევე არიან სხვა ბიზნესმენებიც. ამ ხალხმა პოზიცია ნებისმიერ წამს შეიძლება შეცვალოს. სადღაც 2 კვირაში ისინი შესაძლოა ისევ ნაცმოძრაობის მხარდამჭერები გახდნენ. ძალიან მიკვირს, რატომ არ არიან სააკაშვილის ბანაკში დაბრუნებულები. ირაკლი ღარიბაშვილის პრემიეროზიდან წასვლის შემდეგ ნაციონალები, ფაქტობრივად, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

ყველაზე შემაშფოთებელი ისაა, რომ ნაციონალებს უკვე ხალხი მისტირის. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი უნიათო 4 წლით ხალხს სისხლიანი 9 წელი დაავიწყა.

***– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არჩევნებზე ისინი ხმას ნაციონალებს მისცემენ?***

– ხმა შეიძლება არ მისცენ, მაგრამ იმ პერიოდს მისტირიან.

***– რას მისტირიან?***

– დარბევებსა და ცოცხებს ნამდვილად არ მისტირიან, მაგრამ ამბობენ, რომ მათ დროს უკეთესად ცხოვრობდნენ.

***– პირადად თქვენ გინახავთ ასეთი ადამიანები?***

– რამდენიც გინდათ. მე მთაწმინდაზე ვიყრი კენჭს მაჟორიტარად და ხშირად მიწევს ამომრჩეველთან შეხვედრა. ისინი მეუბნებიან, რომ აჩიკო გეგენავა მოენატრათ. გეგენავა 2008-2012 წელს იყო ამ უბნის მაჟორიტარი. ახლანდელი მაჟორიტარი კი, ძველბიჭობის გარდა, არაფერს აკეთებს. ასეთივე ვითარებაა სხვა რაიონებშიც.

მოსახლეობამ შესაძლოა ნაციონალებს არ მისცეს ხმა, მაგრამ ყველა აღიარებს, რომ იმ დროს უკეთესი ცხოვრება იყო. ქოცები მხოლოდ საკუთარი ჯიბეების გასქელებასა და ნაციონალებთან ჩახუტებაზე ფიქრობენ.

პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ სააკაშვილი რევოლუციას აჭარის რეგიონიდან დაიწყებს. ამათი უნიათობის წყალობით იქ მას ბევრი მხარდამჭერი შეემატა. არც ლევან ვარშალომიძე ჩამოსულა შემთხვევით. 25 სექტემბერს სააკაშვილის სატელეფონო ჩართვის მოსასმენად უამრავი ადამიანი გამოვიდა ბათუმის ცენტრში. ეს ნათელი დასტურია იმისა, რომ აჭარა მას მხარს დაუჭერს. აჭარის გარდა, მას დიდი შანსები აქვს სამეგრელოშიც.

სხვა რეგიონებშიც არ არის კარგი მდგომარეობა. ამიტომაც ეხვეწებიან ივანიშვილს, ჩამოდი ჩვენს რეგიონში და მხარი დაგვიჭირეო. ისიც დიდის, მაგრამ ხალხს აღარ სჯერა ამდენი დაპირების. ხალხს იმედი ჰქონდა, რომ „ოცნება“ სამართლიანობას აღადგენდა. სამწუხაროდ, დანაპირები არ შეასრულეს. აქ თუ რევოლუცია დაიწყო, იცოდნენ, რომ ხალხი „ოცნების“ მხარდასაჭერად არ გამოვა ქუჩაში. ამის გამო „ოცნება“ დიდად არ ინაღვლებს. იქ ისეთი ხალხია, ნაციონალებს იოლად შეეკვრებიან. ამისკენ გიორგი კვირიკაშვილმა უკვე გადადგა ნაბიჯები.

***– რას გულისხმობთ?***

– მან თავისი ბავშვობის მეგობრის, დათო კოლუაშვილის პირით თქვა სათქმელი. ამ ბატონმა ნაცები აქო და მერაბიშვილ-სააკაშვილი ლამის მსხვერპლად წარმოგვიდგინა. ისე, ვანო მერაბიშვილი, შესაძლოა, მართლაც გახდეს ქოცებისა და ნაცების საერთო მსხვერპლი. ამ ადამიანს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და სამართლიანად არის იქ, სადაც არის. კაცი, ფაქტობრივად, „გრუშაა“ და ყველა მაგას ურტყამს.

***– ვინ ურტყამს?***

– დარტყმას პირდაპირი მნიშვნელობით არ ვგულისხმობ, ყველაფერი მას ბრალდება, დანარჩენი დამნაშავეები კი მიიმალნენ. ნაცებსაც მიაგინყდათ მერაბიშვილი და მასზე ხმას არ იღებენ. არ გამოვრიცხავ, რომ ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში ის ციხეში ჩატოვონ და ხალხს ამით დატკიცონ, რომ შეიცვალნენ და დამნაშავეები დასაჯეს.

# სუსის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ყალბი ფულის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა

სუსის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, საქართველოს მოქალაქეები მალხაზ რ. და სარდარ ა. წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ყალბი ფულის დამზადებისა და გასაღების ფაქტზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2016 წლის სექტემბერში მალხაზ რ-მ, სარდარ ა.-სთან წინასწარი შეთანხმებით, დაამზადა და გაასაღა 300 ცალი ყალბი 100-ლარიანი კუპიურა. მანვე დაამზადა და მიმდინარე წლის 17 სექტემბერს უკანონოდ გაასაღა 2.000 ლარის ოდენობის ყალბი 50 და 100-ლარიანი კუპიურები.

2016 წლის 22 სექტემბერს მალხაზ რ-მ. უკანონოდ დაამზადა და გაასაღა 7.000 ლარის ოდენობის ყალბი 50 ლარიანი და 100-ლარიანი კუპიურები, რა დროსაც იგი სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

# მიხეილ სააკაშვილი: „ივანიშვილი საქართველოს წინ ვერ დაუდგება“

## ნაციონალები ბათუმში შეიკრიბნენ

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობა გუშინ, 25 სექტემბერს, ბათუმში შეიკრიბა. რამდენიმე ათას ადამიანს მიხეილ სააკაშვილმა უკრაინიდან ტელეფონის საშუალებით მიმართა. ხალხის სიმრავლით კმაყოფილი ექსპრეზიდენტი ამბობს, რომ მის მომხრეებს წინ ვერავინ და ვერაფერი დაუდგება.

– ჩემო მეგობრებო, როგორც ვიცი, დილიდან წვიმდა ბათუმში, შემდეგ ეს ღრუბლები გადაიშალა, ამინდი გამოვიდა და წვიმა შეწყდა. ასევე, ბოლო ოთხი წლის უბედურება დაპაუზდება, ყველაფერი უკან დარჩება, როგორც ბნელ კოშმარად, რომლის გახსენებაც აღარ მოგვინდება, იმიტომ რომ ბათუმში, აჭარასა და საქართველოში ყოველთვის უნდა ვიაროთ წინ, უკან სვლის გარეშე.

ჩემო მეგობრებო, ივანიშვილი ბოლო ხრიკებს მიმართავს. თქვენ ნახეთ, როგორ რთულ მდგომარეობაშია, ამ დიდი კულტურის კუთხეში ათასგვარ სისულელეს იძახის, ცდილობს ხალხის დაშინებას. მინდა გითხრათ, ვერავის შეაშინებს, ვერ გააყალბებს, ვერავის ამჯერად ვერ გააბრიყვებს, ვერავის წინ ვერ დაუდგება, საქართველოს წინ ვერ დაუდგება, იმიტომ, რომ თუ ივანიშვილი საქართველოს დაუდგება წინ,



ეს იგივეა, რომ გაქანებულ მატარებელს დაუდგეს წინ და მაშინ მატარებელი მაინც გაივლის და ივანიშვილი დარჩება რელსებზე, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

სააკაშვილის გარდა, ბათუმში შეკრებილებს პარტიის სხვა ლიდერებმაც მიმართეს. მათ შორის იყო სააკაშვილის მეუღლე სანდრა რულოვსიც. ის დარწმუნებულია, რომ ნაციონალებთან ერთად არჩევნებში გაიმარჯვებს. სანდრა რულოვსი მხარდამჭერებს ჰპირდება, რომ ძალიან მალე მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდება.

მისი განცხადებით, მიხეილ სააკაშვილს მხოლოდ ერთი რამის ეშინია – საქართველოში არეულობა არ მოხდეს.

– მიშას არაფრის ეშინია, გარდა იმისა, რომ საქართველოში რაიმე ცუდი არ მოხდეს. ნამდვილად ჩვენ ვართ ის მშვიდი ძალა, რომელსაც უნდა საქართველოს უკეთესი მომავალი. დღევანდელ მმართველობას მივყავართ უკან.

გაიღვიძეთ, ხალხნო. თქვენ კი გაღვიძებული ხართ, მაგრამ ვინც გვიყურებს, ბევრი არ არის დარწმუნებული ამაში. დიახ, ისინი იყვნენ დემოკრატიულად არჩეულები, მაგრამ ვერ გააკეთეს საქმე. ახლა ხალხის ნებაზეა, ვინ იქნება შემდეგი ოთხი წელი ქვეყნის მმართველი. ჩვენ ვართ პროფესიონალიზმით სავსე ძალა, რომელსაც შეუძლია დაპირებების შესრულება, – განაცხადა სანდრა რულოვსმა.

◆ ◆ ◆

გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნებას არჩევნების დღეს გეგმავს. მის დასახვედრად სერიოზულ სამზადისში არიან ხელისუფლების წარმომადგენლებიც.

სამშობლოში შესაძლო დაბრუნებაზე განცხადება ექსპრეზიდენტმა რამდენჯერმე გააკეთა. ის ამბობს, რომ წელს თავისი ვენახის მოსავალს თავად აიღებს და ყურძენსაც პირადად დაწურავს.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა არეშიძე: „ნაციონალები მუშაობენ იმაზე, რომ „ოცნებას“ არჩევნების გაყალბება დაბრალდეს“

## „საარჩევნო სიები მაქსიმალურად არის აბურდული“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე პასუხობს.

***– ბატონო მამუკა, თქვენ არჩევნების წინ მოსალოდნელ დესტაბილიზაციაზე ჯერ კიდევ თვეების წინ საუბრობდით, თუმცა ყოველთვის კეთდებოდა შეფასებები, რომ ეს სიცრუეა, რომ ხელისუფლებას კოჭებს უგორებთ და ასე შემდეგ. ორიოდე დღის წინ ინტერნეტსივრცეში გამოჩნდა უკრაინული ვიკილიქსის მასალები, სადაც საუბარია, რომ ნაციონალური მოძრაობა რევოლუციისთვის ემზადება. რამდენად რეალურია ეს მასალები?***

– რაც შეეხება კოჭის გაგორებას, კოჭს არავის ვუგორებ. თუ მდგომარეობა დღეს ასეთ სიტუაციამდე მივიდა, ამის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი არის კოჰაბიტაციის ის მახინჯი ფორმა, რომელიც საქართველოში ამ ხელისუფლების მიერ იყო მიღებული და რასაც მე ყოველთვის დაუფარავად ვებრძოდი. სწორედ მაგიტომ შევქმენით ჩვენ 2012 წლის ბოლოს ორგანიზაცია სოლიდარობა, სწორედ ამან შეიწირა სოლიდარობის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბესო ხარძიანი.

***– ანუ ხელისუფლების ინტერესებიდან გამომდინარე არ აკეთებთ ამ განცხადებებს?***

– რასაკვირველია, არა. არც კოჭს არავის ვუგორებ, უბრალოდ, ძალიან კარგად ვიცნობ ნაციონალურ მოძრაობას, ვიცი მისი მეთოდოლოგია და სწორედ ამ არსზე ვაცნობ საქართველოს საზოგადოებას. ხელისუფლებასაც ვაფრთხილებ და არაერთხელ გამიფრთხილებია. დღესაც ვეუბნები ხელისუფლებას, რომ გარკვეულწილად მისი ბრალიც არის, რომ ასეთი მდგომარეობა იქმნება.

***– რას იტყვით აღნიშნულ მასალებზე?***

– მოვლენათა განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებას არავითარ შემთხვევაში არ შეელევა, აუცილებლად მოინდომებს დამტკიცებას იმისას, რომ, სულ მცირე, „ქართული ოცნება“ მასზე უარესია. მთელი 4 წლის განმავლობაში მხოლოდ ამას ამტკიცებს. ახლა არჩევნების დღეს შეეცდება იმის დამტკიცებასაც, რომ, ყველაფერთან ერთად, „ქართული ოცნება“ არის არჩევნების გამყალბებელიც ანუ მასზე უარესია. ჩავთვალოთ, რომ ეს არის ნაციონალების მთავარი ამოცანა.

***– ამის გაკეთებას როგორ მოახერხებენ?***

– ამის გაკეთებას მოინდომებს არა მხოლოდ მარტო, არამედ დანარჩენ სხვა ოპოზიციურ პარტიებთან, რომელთაგან ზოგიერთი მას მხარს დაუჭერს.

***– ასახელებენ პარტიებს, თუ ვინ უნდა გამოიყენონ, თუმცა, რადგან ეს ყველაფერი გასაჯაროვდა, რამდენად გამოუვათ?***

– რამდენად გამოუვათ, ეს უკვე ხელისუფლების მარიფათსა და უნარზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებენ ნაციონალები ამ დესტაბილიზაციის სისტემის შექმნას. ერთი რამ უკვე შექმნეს და მოახერხეს.

***– კონკრეტულად?***

– მეთოდოლოგია, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსახლეობას ჩაუნერგონ განწყობა იმისა, რომ არაფერი ქვეყანაში 4 წლის განმავლობაში არ მომხდარა და ყველაფერი ცუდია, წარმატებით ამუშავეს. დარჩენილია ბოლო აკორდი.

***– რა არის ეს ბოლო აკორდი?***

– ნაციონალებმა უნდა დაამტკიცონ, რომ არჩევნები გაყალბებულია და მოიგო არა „ოცნებამ“, არამედ მოიგეს მათ. ამის გაკეთება შეუძლიათ ძალიან მარტივად.

***– მაინც როგორ?***

– მათ ეს მეთოდოლოგიაც დამუშავებული აქვთ სიების მეშვეობით. მე არ ვიცი, ხელისუფლება ამდენი წლის განმავლობაში რას აკეთებდა. იმ რაიონში, სადაც მე ვიყრი კენჭს, ყველა უბანზე იმდენი მიცვალებულია სიებში შეტანილი, ისეა არეული სიები, რომ ეჭვი არ მეპარება, ეს გარკვეულ მეთოდოლოგიაში ზის და თანაც ეს დღეს არ მომხდარა.

***– ანუ ეს ნაციონალების ინტერესშია და არა – ხელისუფლების?***

– რასაკვირველია. მათ ძალიან კარგად იციან, რისთვისაც გააკეთეს ეს. მე შევადარე ეს სიები იმ სიებს, რომლებიც იყო 2012 წლის და 2008 წლის არჩევნებზე და ისინი აბსოლუტურად იდენტურია. ამდენი ხნის განმავლობაში ამ სიების გასწორება არავის მოუნდომებია.

მე მაქვს შემთხვევები, როცა თეთრიწყაროს ამომრჩევლები გარდაბნის რაიონის ერთ-ერთ სოფელში არიან გადასროლილები და იქ მცხოვრებლები – აქ. ე.ი. რაღაც სისტემა მუშაობს, რომელიც კარგად იციან ნაციონალური მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელებმა და ამ სისტემას არჩევნების დღეს აამუშავებენ. მე მეუბნებიან, რომ თბილისის ბევრ რაიონშიც იგივე სიტუაციაა, თუნდაც საბურთალოზე, იპოლიტე ხვიჩიას ქუჩაზე, საერთოდ რამდენიმე კორპუსია დამატებული.

***– ცესკომ კარგად იმუშავა, ყველაფერი გასწორდაო და მაშინ სად არის ეს გასწორებული სიები?***

– თეთრიწყაროს შემთხვევაში გასწორებას მე ვერ ვხედავ, პირიქით, ყველაფერი მაქსიმალურად არის აბურდული!

***– ვიკილიქსის მასალებიდან ირკვევა, რომ ნაციონალები სოციალურ კვლევებსაც დიდ ყურადღებას აქცევენ, რომ მათთვის მნიშვნელოვანია, „ოცნებისა“ და ნაციონალების რეიტინგი ახლო-ახლო იყოს. ეს რისთვის, რომ სათქმელი ჰქონდეთ, არჩევნები გაყალბდაო? ეს ყველაფერი წინასწარ გათვლილი და დაგეგმილია?***



**დღის 12 საათიდან გამოცხადდება ეგზიტპოლები, რომელთა მიხედვითაც, იგებს ნაციონალური მოძრაობა. მთელი დღის განმავლობაში ეს იქნება საზოგადოების ცნობიერებაში და უცებ 8 საათზე რომ გაირკვევა, მოიგო „ქართულმა ოცნებამ“, რა ამბავი მოჰყვება ამას, ალბათ, წარმოგიდგენიათ**

– რასაკვირველია, ყველაფერი წინასწარ გათვლილია. ნახავთ თქვენ, ეგზიტპოლების მეშვეობით როგორ მოხდება საზოგადოების ცნობიერებაზე მანიპულირება. დაიწყება დღის 12 საათიდან, გამოცხადდება ეგზიტპოლები, რომელთა მიხედვითაც, ვთქვათ, იგებს ნაციონალური მოძრაობა. მთელი დღის განმავლობაში ეს იქნება საზოგადოების ცნობიერებაში და უცებ 8 საათზე რომ გაირკვევა, მოიგო „ქართულმა ოცნებამ“, რა ამბავი მოჰყვება ამას, ალბათ, წარმოგიდგენიათ. გამოვლენ ქუჩაში და იყვირებენ, გაგვიყალბეს არჩევნებიო და მერე მოხდება, რაც მოხდება.

***– რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რომ ნაციონალურ მოძრაობას ეს გეგმა არ გამოუვიდეს?***

– მე ამის რეცეპტის მოცემა შემიძლია, მაგრამ ეს ძალიან ვრცელი თემაა. არ მინდა, ფრაგმენტული ვიყო და მოკლედ ვილაპარაკო. მეთოდოლოგია არსებობს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ყველაფრის დაბლოკვა და, დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებამ ეს უნდა იცოდეს. მათ შტაბში გამოცდილი ადამიანები უსხედან.

***– ამ მასალების მიხედვით გამოდის, რომ ვაშაძე, გირჩები არსად წასულან და კვლავ სააკაშვილსა და ნაციონალებს ემსახურებიან.***

– მე არავის არ მინდა, რამე დავაბრალო, მაგრამ, ვინც ამ ტყუილში მიიღებს მონაწილეობას, ყველა ერთი თარგით არის მოჭრილი. მე მესმის იმ პარტიებისაც, რომელთაც შესაძლოა მართლა ჰქონდეს აღშფოთების საფუძველი. ამ პარტიებსაც კი ნაციონალური მოძრაობა უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

***– რა თვალსაზრისით?***

– რომ გითხრათ, სულ კანონდარღვევის გარეშე ჩატარდება არჩევნებიო, არავინ დამიჯერებს, მაგრამ ბუზიდან სპილოს გაკეთება შესაძლებელი იქნება. კარგად მესმის იმ პარტიების, რომლებიც ორცეცხლშუა იქნებიან. ერთი მხრივ, შეიძლება, მათ სამართლიანი პროტესტი ჰქონდეთ ხელისუფლების წინააღმდეგ, ამავდროულად, გაუჭირდებათ ნაციონალური მოძრაობის მიერ დადგმულ სპექტაკლში მონაწილეობის მიღება.

***– სიტუაციის არევას არჩევნების შემდგომ უნდა ველოდოთ?***

– არჩევნების დღესაც და არჩევნების დამთავრების შემდეგაც. პერმანენტული პროცესი იქნება და, რაც უფრო მივუახლოვდებით არჩევნებს, მით უფრო დაიძაბება მდგომარეობა. ყველანაირად მოერიდებიან არჩევნებამდე სამოქალაქო დაპირისპირებას, რათა არ დაბრალდეთ რამე ღიად, შექმნიან ილუზიას, რომ არჩევნები ტარდება ნორმალურ გარემოში და, საბოლოო ჯამში, ხელისუფლებამ გააყალბა.

დღეს უკვე ვრცელდება ინფორმაცია, რომ ხელისუფლებას 200 ათასი ბიულეტენი აქვს დაბეჭდილი იმისთვის, რომ არჩევნები გააყალბოს. სად არის ეს 200 ათასი ბიულეტენი, ვინ ნახა, ვინ დაბეჭდა, ამის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

***– ამას ნაციონალები ავრცელებენ?***

– სხვადასხვა წყაროშია. ზოგ შემთხვევაში ნაციონალებია, ზოგ შემთხვევაში არ არის ნაციონალები. მე არ ვიცი, ესენიც ნაციონალების დავალებით ავრცელებენ თუ არა, მაგრამ, ფაქტია, ვრცელდება. ამაზე უკვე კარგა ხანია მუშაობენ ნაციონალები და მე ამას ჯერ კიდევ როდის გეუბნებოდით.

# ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა: „აირიდეთ პროვოკაციები“

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებლები აღნიშნავენ გაუმჯობესებულ წინასაარჩევნო გარემოს საქართველოში და მოუწოდებენ ყველა მხარეს პროვოკაციების არიდებისკენ.

აღნიშნულის შესახებ ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ვებგვერდზეა ნათქვამი, რომელშიც შეჯამებულია საქართველოში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისიის საქართველოში ვიზიტის შედეგები.

– მაშინ, როცა შეხვედრის მონაწილეებმა აღნიშნეს საარჩევნო გარემოს პოლარიზება, აღნიშნული იყო ისიც, რომ წინა საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით დაძაბულობის დონე უფრო დაბალია.

დელეგაციამ გაითვალისწინა მიწოდებული ინფორმაცია დაშინებისა და წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში მომხდარი დარღვევების ფაქტებზე და მოუწოდა ყველა დაინტერესებულ მხარეს, გამოიჩინონ თავშეკავება.




დელეგაცია ასევე მოუწოდებს დაინტერესებულ მხარეებს, წინასაარჩევნოდ მომხდარი ინციდენტების გასაჩივრებისა და გამოძიებისთვის მიმართონ ოფიციალურ პროცედურებს, – ნათქვამია ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის განცხადებაში.

სადამკვირვებლო მისიამ მოიწონა ცესკოს მუშაობისადმი არსებული ნდობა.

მისია ხაზს უსვამს, რომ დამკვირვებლები დიდი ყურადღებით დააკვირდებიან საოლქო და სამხარეო საარჩევნო კომისიების მუშაობას, განსაკუთრებით არჩევნების დღეს.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო სადამკვირვებლო მისია ასევე შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ კონკურენტი ძალების მხრიდან მკაცრმა რიტორიკამ არჩევნების გამართვის თაობაზე შესაძლოა სისტემისადმი საზოგადოების ნდობას ძირი გამოუთხაროს.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის წევრები საქართველოში სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტს, ცესკოს წევრებს, ძირითადი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს, დამკვირვებლებს ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისიდან, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს.

**მედიანიუსი**

# რა დაავალა ივანიშვილმა ბიზნესმენებს



ნაციონალური მოძრაობის წევრ გიორგი ტუღუშის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენებს ეკონომიკურ ფორუმზე მოუწოდა, რომ მათ დაავალონ საკუთარ თანამშრომლებს, ხმა მისცენ „ქართულ ოცნებას“.

– ჩვენ მოვისმინეთ ქვეყნის არაფორმალური მმართველისგან, ბიძინა ივანიშვილისგან, პირდაპირი მოწოდება და მოთხოვნა ქართველი ბიზნესმენების მიმართ, რომ მათ დაავალონ საკუთარ თანამშრომლებს, ხმა მისცენ „ქართულ ოცნებას“.

ეს არის წარმოუდგენელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამას არანაირი შედეგი არ ექნება და 8 ოქტომბერს ხალხი გააკეთებს სწორ არჩევანს და წერტილს დაუსვამს ამ არაფორმალურ მმართველობას, – განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

**მედიანიუსი**

# ნაცმოძრაობა „ოცნებას“ დასკვნითი აქციის თარიღის დასახელებას სთხოვს



ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ ნიკა მელიას განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა დაასახელოს ზუსტი თარიღი, თუ როდის აპირებს წინასაარჩევნო დასკვნითი აქციის გამართვას.

ამის შესახებ მელიამ ბრიფინგზე განაცხადა.

– ჩვენი რეგიონული შტაბის ხელმძღვანელს, რომელიც ცდილობს სატრანსპორტო საშუალებების დაქირავებას, ეუბნებიან, რომ დაჯავშნილია ყველა სატრანსპორტო საშუალება „ქართული ოცნების“ მიერ სწორედ 2 ოქტომბრისთვის, რომ ისინი გამოემგზავრონ თბილისში.

თითქმის ყველა საჯარო სამსახური გაფრთხილებულები არიან, რომ ამ დღეს გაიმართება აქცია. აქედან გამომდინარე და ამიტომ და არა მხოლოდ ამიტომ, ერთი დღის ვადაში მივმართავთ „ქართულ ოცნებას“, დაასახელოს ხვალ ამ დროისთვის ზუსტი თარიღი, თუ როდის გეგმავენ ისინი აქციის ჩატარებას, – აღნიშნა მელიამ.

**მედიანიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ზვიად ჩიტიშვილი: „ბურჯანაძემ უნდა დაამტკიცოს, რომ ნაციონალებთან არ არის შეკრული“

## რას ითხოვს „თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლო“ დემოკრატიული მოძრაობისგან

რაზე უნდა გასცეს ნინო ბურჯანაძემ პასუხი, რას ითხოვენ ხელისუფლებისგან და რას სთხოვენ ამომრჩეველს? – ამაზე „ახალ თაობას“ საარჩევნო ბლოკ „თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.

**ზვიად ჩიტიშვილი:**

– ჩვენმა საარჩევნო ბლოკმა ამასთან დაკავშირებით უკვე გააკეთა განცხადება, მაგრამ მინდა, კიდევ ერთხელ მივმართო დემოკრატიულ მოძრაობასა და მის ლიდერს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს – მოახდინოს რეაგირება იმ ინციდენტზე, რაც ქვემო ქართლის ტელევიზიაში მოხდა. იქ მათი მაჟორიტარობის კანდიდატი თავს დაესხა ჩვენს კანდიდატს და ამით ყველა ჩვენგანს დიდი შეურაცხყოფა მიაყენა.

აქამდე მე ნინო ბურჯანაძის მიმართ პატივისცემით ვიყავი განწყობილი და არ მინდა, ჩემი დამოკიდებულება შეიცვალოს, თუმცა ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რა პასუხს მივიღებთ მისგან.

***– მისგან რა პასუხს ელოდებით?***

– ბლოკის სახელით ჩვენ უკვე მოვთხოვეთ მას, რომ ვეფხია გურგენაშვილის კანდიდატურა მოეხსნა. იმედი გვაქვს, ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად მიიღებს.

***– თუ არ მიიღო?***

– მაშინ ჩვენ მივიღებთ გადაწყვეტილებას და ვიტყვით იმას, რისი თქმაც არ გვინდა.

***– როდემდე აქვს დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს გადაწყვეტილების მიღების ვადა?***

– 27 სექტემბრამდე დაველოდებით. სათანადო რეაგირებას თუ არ მოახდენს, მერე ნუღარ ეწყინება. ამ ქალბატონისა და მისი პარტიის მიმართ დადებითად ვარ განწყობილი, მაგრამ ამ პროვოკაციას ასე ვერ დავტოვებთ.

ვიდეოს, სადაც ჩხუბის კადრებია, რამდენჯერმე ყურადღებით ვუყურე, მაინტერესებდა, იქნებ ჩვენი კანდიდატი იყო დამნაშავე. მსგავსი ვერაფერი ვიპოვე. მეტსაც გეტყვით, ჩვენმა კანდიდატმა ფოლად ხალილოვმა ძალიან ბევრი მოითმინა. მან არც ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები დააყენა საფრთხის ქვეშ და არც ოპოზიციურ პარტიას დაუპირისპირდა. ითმინა მანამდე, სანამ ეს შეიძლებოდა, მერე, როცა იმ ადამიანმა გინება დაუწყო, ბატონი ფოლადიც გამოვიდა წყობილებიდან.

ჩვენს პარტიას დემოკრატიულ მოძრაობასთან აქამდე ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ყველას გაგვიკვირდა, რატომ იყო ბურჯანაძის თანაპარტიელი ასეთი აგრესიული.

პარტია „ჩვენი სამშობლოს“ გენერალური მდივანი ზურა ხუბულაშვილი ახლოს იცნობს დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლებს. ის სახალხო კრების წევრი იყო და აქტიურად მონაწილეობდა 2011 წლის მაისის აქციებში. ის 26 მაისს დააკავეს და ჯოჯოხეთი გამოატარეს.




**ვიდეოს, სადაც ჩხუბის კადრებია, რამდენჯერმე ყურადღებით ვუყურე, მაინტერესებდა, იქნებ ჩვენი კანდიდატი იყო დამნაშავე. მსგავსი ვერაფერი ვიპოვე. მეტსაც გეტყვით, ჩვენმა კანდიდატმა ფოლად ხალილოვმა ძალიან ბევრი მოითმინა. მან არც ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობები დააყენა საფრთხის ქვეშ და არც ოპოზიციურ პარტიას დაუპირისპირდა. ითმინა მანამდე, სანამ ეს შეიძლებოდა, მერე, როცა იმ ადამიანმა გინება დაუწყო, ბატონი ფოლადიც გამოვიდა წყობილებიდან.**

ქვემო ქართლში მომხდარი სამარცხვინო ინციდენტის შემდეგ ზურამ დემოკრატიულ მოძრაობაში დარეკა. იქ უთხრეს, რომ წარმოდგენა არა აქვთ, ვინ არის ვეფხია გურგენაშვილი.

ინციდენტის მეორე დღეს გამოვიდა მათი ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი და განცხადება გააკეთა. მისმა განცხადებამ გვაიძულა, მწვავე პოზიცია დაგვეკავებინა.

***– რა თქვა ახვლედიანმა ასეთი?***

– მან თანაპარტიელი გაამართლა. მათ იმისიც კი არ შერცხვათ, რომ ნაციონალების მხარეს აღმოჩნდნენ. 21 სექტემბერს ნაციონალები და ბურჯანაძე ჩვენ წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

21 სექტემბერს ასე იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ამ დღეს გავრცელდა 26 მაისზე ახალი კადრები, სადაც ჩანს, როგორ ეუბნება დათა ახალაია კუდის თანამშრომლებს, რაც მეტ ხალხს დააკავებთ, მეტ პრემიას მიიღებთო. ამ კადრებმა ყველა შოკში ჩააგდო. აღშფოთება მთელმა დემოკრატიულმა მოძრაობამ გამოხატა. იმ დღეს, წესითა და რიგით, ნაციონალების მიმართ უნდა ჰქონოდათ აგრესია, მაგრამ ჩვენ მიმართ გამოავლინეს. არადა, ჩვენი თანაპარტიელების ნაწილი 26 მაისს მათ გვერდით იდგა. მათ შორის იყო ჩემი ნათესავი გია ტერელაძეც, რომელიც ემსხვერპლა ამ ამბავს. ისე სცემეს 26 მაისს, რომ სიმსივნე განუვითარდა და ველარ უშველეს.

ამ პარტიასთან კიდევ ბევრი რამე მაკავშირებს, მაგრამ, თუ გურგენაშვილის კანდიდატურას არ მოხსნიან, ამ ურთიერთობებს მეც ხაზს გადავუსვამ. არ მინდა დავიჯერო, რომ ბურჯანაძე ნაციონალებთან არის შეკრული.

***– არის იმის ალბათობა, რომ ნაციონალებთან იყოს რაიმე კავშირში?***

– ამის დაჯერება არ მინდა და მასზე ამას ვერც ვიტყვი, მაგრამ მისი პარტიის წევრის საქციელი სხვა რამეზე მეტყველებს. მოვუწოდებ შსს-ს, ცესკოს, დაინტერესდნენ ამ ფაქტით. გურგენაშვილის ქცევამ საქართველო კინაღამ ეთნიკურ დაპირისპირებამდე მიიყვანა. იმედია, ცესკო მას რეგისტრაციიდან მოხსნის.

მივმართავ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, დაუყოვნებლივ შეაფასონ მომხდარი. მართალი გითხრათ, ძალიან მიკვირს, აქამდე რატომ არ ჰქონდათ რეაქცია.

***– ისე, მართლა დააგვიანდათ რეაგირება არასამთავრობოებს.***

– ჩვენ როცა გვეხება საქმე, მაშინ სულ იგვიანებენ. ასე მოხდა მაშინაც, როცა ცესკომ რეგისტრაციიდან მოგვხსნა. ჩვენ ადგილზე სხვა რომელიმე პარტია რომ ყოფილიყო, დაიქცეოდა ქვეყანა. სანამ სასამართლო ჩვენს სიმართლეს დაამტკიცებდა, შიმშილობის აქცია დავიწყეთ. ამ აქციას ჩვენი თანამებრძოლი ზაზა კაზაროვი ემსხვერპლა. არც ამაზე ჰქონიათ რეაქცია.

არასამთავრობოების დიდი ნაწილი აშშ-ის ელჩის მიერ იმართება და, დარწმუნებული ვარ, მისგან ჰქონდათ ასეთი დირექტივა მიღებული. აშშ-ის ელჩი იმას ვერ გვპატიობს, რომ ჩვენ რუსეთთან გვინდა ურთიერთობის მოგვარება. ამ მიზეზით არ შეიმჩნია მან ტელევიზიაში მომხდარი ინციდენტიც. ეს კაცი ყველაფერზე აკეთებს კომენტარს და მაინცდამაინც ამაზე დადუმდა.

***– იქნებ არ უნახავს?***

– რა არ უნახავს? ასეთ რამეებს სულ უყურებს, თანაც ეს ფაქტი ბიბისიმაც კი გააშუქა. ხმა იმიტომ არ ამოიღო, რომ მოსკოვთან დათბობის პოლიტიკას ვუჭერთ მხარს.

***– ბურჯანაძის პარტიაც ხომ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების მომხრეა და, წესით, არც მათთვის არ უნდა დაეჭირა მხარი.***

– შესაძლოა, მისი დუმილი ამითაც არის გამოწვეული, მაგრამ ყველაფერზე აკეთებს კომენტარს და ესეც შეეფასებინა. რადგან რუსეთთან ურთიერთობა ახსენეთ, არ გამოვრიცხავ, რომ ამის გამო არიან დემოკრატიულ მოძრაობაში გაღიზიანებულები.



ნინო ბურჯანაძემ შესანიშნავად იცის, რა შესაძლებლობები აქვს ჩვენს პარტიას. მან ისიც იცის, რა კავშირები გვაქვს ჩვენ. ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ მინდა იმის დაჯერება, რომ გურგენაშვილს პარტიის ლიდერებმა ურჩიეს ჩვენზე თავდასხმა.

ამ პარტიისთვის ბევრი სიკეთე გვაქვს გაკეთებული. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში მე მათ კანდიდატს ყველანაირად დავეხმარე. ადამიანი სიკეთეს რომ აკეთებ, ამაზე არ უნდა ილაპარაკო, არც ვაპირებდი, მაგრამ მათი კანდიდატის უტიფრობამ მაიძულა. იმედი მაქვს, ამ თემაზე ამაზე მეტს აღარ ვისაუბრებ და ბურჯანაძე სათანადო რეაგირებას მოახდენს.

ისევ ტელევიზიაში მომხდარ ინციდენტს მინდა დავუბრუნდე. ფოლად ხალილოვს იმიტომ დასცინეს, რომ ქართულად ვერ ლაპარაკობდა კარგად. ამაში ყველაზე მეტად ნინო ბურჯანაძეა დამნაშავე.

***– ბურჯანაძე რატომ არის დამნაშავე? ის ხომ არ ასწავლიდა ქართულს?***

– დამნაშავე იმიტომ არის, რომ მას ორჯერ ეკავა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი, ორჯერ ასრულებდა პრეზიდენტის მოვალეობას. მას თავისუფლად შეეძლო, ქართული ენის სწავლების პროგრამა დაეწყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამ ადამიანებს დიდი სურვილი აქვთ ქართულის სწავლის, მაგრამ ამაში ხელისუფლება არ დაეხმარა.

ასევე მაინტერესებს, მისი თანაპარტიელები რომ აპროტესტებენ რუსულ ენაზე საუბარს, თავად რა ენაზე საუბრობს მოსკოვთან, ჩინურად? რუსული ენა არ უნდა და რუსეთი უნდა? ეს როგორ გავიგოთ? მაინც მჯერა, რომ ბურჯანაძე ჭკვიანი ქალბატონია და მომხდარზე სათანადო რეაგირებას მოახდენს.

მას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ასეთი კანდიდატით შორს ვერ წავა. ის ან ნაციონალებთან არის შეკრული, ან ეთნიკური შუღლის გაღვივება სურს. ბურჯანაძე უნდა ხვდებოდეს, რომ მის მხარეს ვართ და სწორი გადაწყვეტილების მიღებისკენ ვუბიძგებთ.

იმ შემთხვევაში, თუ ამ ადამიანს არ მოხსნიან, მათ არავინ დაუჯერებს, რომ აფხაზებთან და ოსებთან სურთ

**ჩვენ როცა გვეხება საქმე, მაშინ სულ იგვიანებენ. ასე მოხდა მაშინაც, როცა ცესკომ რეგისტრაციიდან მოგვხსნა. ჩვენ ადგილზე სხვა რომელიმე პარტია რომ ყოფილიყო, დაიქცეოდა ქვეყანა. სანამ სასამართლო ჩვენს სიმართლეს დაამტკიცებდა, შიმშილობის აქცია დავიწყეთ. ამ აქციას ჩვენი თანამებრძოლი ზაზა კაზაროვი ემსხვერპლა. არც ამაზე ჰქონიათ რეაქცია.**



ურთიერთობის მოგვარება. ეს როგორ უნდა დაიჯერო, როცა მათი კანდიდატი ახალ კონფლიქტურ კერას აღვივებს. თავიდან აფხაზებთან და ოსებთანაც ასე იყო, ავტომატები ბოლოს აიღეს ხელში. ყველაფერი სიტყვიერი დაპირისპირებით დაიწყო.

ჩვენმა ამომრჩეველმა იმდენჯერ დაუშვა შეცდომა, რომ წელს სხვა არჩევანს გააკეთებს. მე მჯერა, ჩვენი პარტია აუცილებლად მოიპოვებს მხარდაჭერას, რადგანაც ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სამართლიანობისთვის ბრძოლაში საკუთარი სიცოცხლეც არ გვენანება. მინდა მივმართო ამომრჩეველს და ვუთხრა, რომ თუ არ გინდათ, დაიწყევლოთ თავ-ბედი, მაშინ უნდა შემოხაზოთ ცხრამეტი.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ვთხოვ ბურჯანაძეს, მიიღოს გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ მოგვიწევს გადაწყვეტილების მიღება.

**21 სექტემბერს ასე იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ამ დღეს გავრცელდა 26 მაისზე ახალი კადრები, სადაც ჩანს, როგორ ეუბნება დათა ახალაია კუდის თანამშრომლებს, რაც მეტ ხალხს დააკავებთ, მეტ პრემიას მიიღებთო. ამ კადრებმა ყველა შოკში ჩააგდო. აღშფოთება მთელმა დემოკრატიულმა მოძრაობამ გამოხატა. იმ დღეს, წესითა და რიგით, ნაციონალების მიმართ უნდა ჰქონოდათ აგრესია, მაგრამ ჩვენ მიმართ გამოავლინეს. არადა, ჩვენი თანაპარტიელების ნაწილი 26 მაისს მათ გვერდით იდგა. მათ შორის იყო ჩემი ნათესავი გია ტერელაძეც, რომელიც ემსხვერპლა ამ ამბავს. ისე სცემეს 26 მაისს, რომ სიმსივნე განუვითარდა და ველარ უშველეს.**

# რა მოხდა ქვემო ქართლის ტელევიზიაში

**რა მოხდა 21 სექტემბერს ტელევიზიაში, რა საფრთხის წინაშე დადგა მარნეული, ვინ გაურიგდა ნაციონალებს? – ამაზე საარჩევნო ბლოკის „თოფაძე მრეწველები – ჩვენი სამშობლოს“ მარნეულის მაჟორიტარობის კანდიდატი ფოლად ხალილოვი გვესაუბრება.**









## ფოლად ხალილოვი: „მარნეული ეთნიკური კონფლიქტის წინაშე იდგა“

**ფოლად ხალილოვი:**

– მიმდინარე წლის 21 სექტემბერს ქვემო ქართლის ტელერადიოკომპანიის გადაცემაში „საპარლამენტო არჩევნები 2016“ სერიოზული ინციდენტი მოხდა, რაც კინაღამ ეთნიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მომხდარის გამო მე ბოდიშს ვუხდი საქართველოს მოქალაქეებს. იმედი მაქვს, ამაზე ხელისუფლება და ცენტრალური საარჩევნო კომისია სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს. ასეთი ზომების მიღება იმისთვისაა საჭირო, რომ მომავალში საქართველოში ასეთი რამე აღარ მოხდეს.

***– რა მოხდა გადაცემაში? რატომ დაიწყეთ ჩხუბი?***

– სანამ ჩხუბის მიზეზებზე დავიწყებდე საუბარს, ერთ საგულისხმო დეტალზე მინდა გავამახვილო თქვენი ყურადღება. გადაცემაში, სადაც კონფლიქტი მოხდა, ჩემი პირდაპირი კონკურენტები არ მონაწილეობბენ. ერთიც და მეორეც კენჭს ქალაქ მარნეულში იყრიან, მე კი მარნეულის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ვარ. ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ბურჯანაძისა და ნაციონალების კანდიდატები ჩემ წინააღმდეგ გაერთიანდნენ.

21 სექტემბრის გადაცემაში ჩემ გარდა დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატი ვეფხია გურგენაშვილი და ნაციონალი ახმედ იმამგულიევი იყვნენ. „ქართული ოცნების“ კანდიდატი გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად არ მოვიდა.

როგორც წესი, ასეთ გადაცემებში კანდიდატები თავიანთ პროგრამაზე საუბრობენ. ამ გადაცემაში კი მსგავსი რამე არ მომხდარა. ბურჯანაძის პარტიის წევრი ეგრევე შეურაცხყოფაზე გადმოვიდა.

***– ასე უაპელაციოდ გადმოვიდა შეურაცხყოფაზე?***

– მე იმ პროგრამაზე ვსაუბრობდი, რომელიც ჩვენს საარჩევნო ბლოკს აქვს. ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ ვაპირებთ რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას. დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატი შეურაცხყოფაზე გადმოვიდა და რამდენჯერმე მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ხან ტურა და შაკალი მეძახა, მერე უკვე გინებაზეც გადავიდა.

მეც ველარ მოვითმინე და კალამი ვესროლე. ძალიან არ მინდოდა, იმ ადამიანს ავყოლოდი, მაგრამ ამხელა შეურაცხყოფის ატანაც არ შეიძლება. მე მისთვის პასუხი რომ არ გამეცა, ჩემი ხალხი მისაყვედურებდა. მომხდარის გამო საზოგადოებას კიდევ ერთხელ ვუხდი ბოდიშს, მაგრამ მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ეს ჩხუბი ჩემი დაწყებული არ არის.

მინდა, ისიც ვუთხრა მკითხველს, რომ იმ დღეს ნაციონალები და ბურჯანაძის კანდიდატი, ფაქტობრივად, ერთ პოზიციაზე იყვნენ, რაც, ბუნებრივია, ეჭვებს იწვევს.

***– რით გამოიხატებოდა მათი ერთ პოზიციაზე ყოფნა?***

– ერთად აგინებდნენ და ლანძღავდნენ „ქართულ ოცნებას“. ისე ლანძღავდნენ ამ გუნდს, რომ მისი დაცვა მე მომიხდა.

***– ამან ხომ არ გააღიზიანა თქვენი კონკურენტი?***

– მიზეზი სულ სხვა იყო. როგორც მერე აღმოჩნდა, ეს გურგენაშვილი თავიდანვე საჩხუბრად იყო მოსული. სათანადო ორგანოები თუ დაინტერესდებიან, ამას ძალიან კარგად დაადგენენ.

იმამგულიევი და გურგენაშვილი ყველა სიტყვაზე მეკიდებოდნენ და იცინოდნენ. იმის გამოც დამცინეს, რომ რუსულად ვლაპარაკობდი.

***– ისე, რატომ ლაპარაკობდით რუსულად, ქართულ ენაზე ხომ შეგიძლიათ საუბარი?***

– ქართული ძალიან კარგად მესმის, მაგრამ ზოგიერთ სიტყვას გამართულად ვერ ვამბობ და მერიდება. ჩემი თაობის ხალხმა ქართული კარგად არ იცის. სამაგიეროდ, ჩემი შვილები სწავლობენ ქართულად და კარგად იციან ეს ენა.

მეც ვისაუბრებდი ქართულად, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ჩემი თაობის ხალხმა კარგად არ იცის ქართული. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას სოფლებში. მე, მოგეხსენებათ, მარნეულის რაიონში ვიყრი კენჭს და მინდოდა, რომ ჩემი საუბარი მათთვის გასაგები ყოფილიყო.

ხან რუსულად საუბრის გამო მომაყენეს შეურაცხყოფა, ხან სხვა რაღაცების გამო და საბოლოოდ უკვე ფიზიკურ დაპირისპირებაზე გადავიდა დემოკრატიული მოძრაობის კანდიდატი.

უკვე გითხარით, რომ ეს ადამიანი თავიდანვე ჩხუბისთვის იყო მოსული. მას რამდენიმე პიროვნება ახლდა თან და ისინი ტელევიზიის გასასვლელში მელოდებოდნენ. მე დაცვამ ჩუმად გამაპარა, თორემ ფიზიკურად გამისწორდებოდნენ.

***– ამ ადამიანთან რაიმე პიროვნული დაპირისპირება ხომ არ გქონდათ ადრე?***

– საიდან უნდა მქონოდა დაპირისპირება? ამ ადამიანს საერთოდ არ ვიცნობ, არც ჩვენი გზები გადაკვეთილა ოდესმე. მართლა არ ვიცი, რატომ იყო ჩემზე ასეთი დაბოლმილი.

***– იქნებ თქვენს პარტიებს შორის არსებობს რაიმე დაპირისპირება?***

– ჩვენ მათ მიმართ მტრობა არ გვამოძრავებს. მათ შესაძლოა სულ სხვა განწყობა ჰქონდეთ.

***– რას გულისხმობთ?***

– არა მგონია, გურგენაშვილი საკუთარი ნებით დამპირისპირებოდა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მას მითითება ჰქონდა მიღებული. ჩხუბსა და აყალმაყალს ბევრი ადამიანი ნახულობს და მათი ჩხუბისთვის რომ ეჩხუბა, ნაციონალ იმამგულიევს დაუპირისპირდებოდა, ხალხი ამას უფრო გაიგებდა, მაგრამ მან ჩემთან არჩია დაპირისპირება და თან, როგორც უკვე გითხარით, ეს წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული.

***– ამას მარტო იმით ამტკიცებთ, რომ მას თან რამდენიმე პირი ახლდა?***

– ტელევიზიიდან რომ გამოვედი, მანქანაში ჩავჯექი და სახლში წამოვედი. გზაში ვიყავი, ამ ვეფხომ რომ დამირეკა და „სტრელკა“ დამინიშნა.

***– რას ნიშნავს, „სტრელკა“ დაგინიშნათ, იქნებ ბოდიშის მოხდა უნდოდა?***

– ბოდიშის მოსახდელად ასე არ ურეკავენ ადამიანს. მისი ტონი უკიდურესად შეურაცხმყოფელი იყო. მითხრა, თუ გეშინია, მარნეულის პოლიციის წინ მოდი და იქ დამელაპარაკეო. ვინმეს თუ ჩემი სიტყვების სისწორეში ეჭვი ეპარება, შეუძლია, ზარები შეამოწმოს.

***– თქვენ რა უთხარით, როცა შეხვედრა დაგითქვათ?***

– ცხადია, უარი ვუთხარი. მე რომ იქ მივსულიყავი, ეს ამბავი ძალიან ცუდად დასრულდებოდა. ის არის ეთნიკური ქართველი, მე – ეთნიკური აზერბაიჯანელი. ჩვენ შორის რაიმე რომ მომხდარიყო, ამას აუცილებლად მოჰყვებოდა ეთნიკური დაპირისპირება. საქართველო ჩემი სამშობლოა და ამას არაფრით დავუშვებ, ამიტომაც არ წავედი შეხვედრაზე.

მართალია, ჩვენ შორის კონფლიქტი აღარ გაგრძელებულა, მაგრამ მარნეულში საკმაოდ დაიძაბა ვითარება. ამ კადრებს ყველამ უყურა და ხალხი პროტესტის ნიშნად გარეთ გამოვიდა. ვითარება ძალიან დაიძაბა და ნებისმიერ წამს შეიძლებოდა, რაიმე მომხდარიყო.

ხალხის აღშფოთებას დემოკრატიული მოძრაობის ლიდერების პასუხი აძლიერებდა. იმის მაგივრად, რომ საკუთარი კანდიდატი გაემტყუნებინათ, მას დაუჭირეს მხარი. ჩვენი პარტიის ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი რომ არ ჩამოსულიყო და ხალხისთვის გაჩერება არ ეთხოვა, სიტუაცია ძალიან დაიძაბებოდა.

შიდა დაპირისპირების გარდა, ამას შესაძლოა აზერბაიჯანთანაც მოჰყოლოდა კონფლიქტი. ქვემო ქართლის ტელეკომპანიაში მომხდარ დაპირისპირებას აზერბაიჯანში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს კადრები თითქმის ყველამ ნახა. მე პრეზიდენტის ადმინისტრაციიდანაც კი დამიკავშირდნენ.

***– ჩვენი პრეზიდენტის?***

– არა, ილხამ ალიევის ადმინისტრაციიდან დამიკავშირდნენ. კომენტარის გაკეთება რამდენიმე აზერბაიჯანულმა არხმაც მთხოვა. ზემოთ გითხარით, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა და არ მინდოდა, ვიღაცის გამო ქვეყანა ცუდ მდგომარეობაში ჩამეგდო. ამიტომაც არანაირი კომენტარი არ გავაკეთე. ყველაფერი გავაკეთე, რომ ამას ეთნიკური დაპირისპირების ფონი არ მიეღო.

ახლა ყველა, მათ შორის ალიევის ადმინისტრაციაც ელოდება, თუ რა რეაქცია ექნება ნინო ბურჯანაძეს.

***– თქვენ იცნობთ ალიევს?***

– მამაჩემი, ხაჯიმურად ხალილოვი, შევარდნაძესთან და გეიდარ ალიევთან მეგობრობდა. მამას დიდ პატივს სცემდა ორივე. მარნეულში მისი სახელობის ქუჩაც არის.

მე არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ, რომ ჩემს ქვეყანაში ეთნიკურ ნიადაგზე რაიმე კონფლიქტი მოხდეს. ამ ქვეყანას ისედაც მრავლად ჰქონდა ცხელი წერტილები. იმედი მაქვს, დემოკრატიული მოძრაობა ამ ფაქტს სათანადო შეფასებას მისცემს. მათმა კანდიდატმა ქვეყანა ეთნიკური კონფლიქტის დაწყების საფრთხის წინაშე დააყენა.



# ლევან ალაფიშვილი: „საკონსტიტუციოს თავმჯდომარე ზაზა თავაძე გახდება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო ლევან, საკონსტიტუციო სასამართლოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ? სამი ვაკანტური პოზიცია უკვე შეივსო. სექტემბრის ბოლოს უფლებამოსილების ვადა მოქმედ თავმჯდომარე პაპუაშვილს ეწურება.***

— საკონსტიტუციო სასამართლომ 20 წლის განმავლობაში შეძლო პროფესიული განვითარება, მყარი ტრადიციების დამკვიდრება. შესაბამისად, პროფესიული თვალსაზრისით მოსამართლეთა ცვლილებები რყევებს ნამდვილად არ გამოიწვევს.

პოლიტიკოსებს, პარლამენტს, მთავრობას აქვს ცდუნება, რომ კონსტიტუციური ინსტიტუციები საკუ-



თარი გავლენის ქვეშ მოაქციოს და საკუთარ პოლიტზრახვებს დაუქვემდებაროს სწორედ იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მათი შემკავებელი აღარ აღმოჩნდეს. ეს ძალიან სახიფათო თამაშია.

***— ახალი მოსამართლეები შეძლებენ დამოუკიდებლობის დაცვას?***

— ამის თქმა ძალიან რთულია, იმდენად უსახური პროცესების მოწმენი ვართ.

***— მთელი ზაფხულის განმავლობაში საზოგადოება საკონსტიტუციო სასამართლოსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის პინგ-პონგს ადევნებდა თვალს. ეს ეტაპი დასრულდა?***

— ეს არ იყო პინგ-პონგი. ეს იყო აშკარად პოლიტიკურად მოტივირებული პროცესი. ეს არ არის მხოლოდ ჩემი შეფასება. ამის შესახებ ვენეციის კომისიამ, სამწუხაროდ, არაერთხელ განაცხადა. ეს ძალიან სამარცხვინოა ჩვენი ხელისუფლებისთვის.

უზენაესი სასამართლოს მიერ საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი მოსამართლის წარდგენის პროცესი ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო. დახურულ კარს მიღმა მოხდა ეს ყველაფერი. ერთი თვით ადრე იყო ჩემთვისაც და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ცნობილი კანდიდატის შესახებ და თუ ვინ იღებდა გადაწყვეტილებას.

***— ვინ მიიღო?***

— იმ ჯგუფმა, რომელიც ასოცირებულია მურუსიძე-ჩინჩალაძე-ცერცვაძესთან. ეს იყო საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის ასარჩევად მოსაგროვებელი ხმების პროცესი. საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი თავმჯდომარის ასარჩევად 5 ხმაა საჭირო. ეს 5 ხმა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოქმედმა მოადგილე ზაზა თავაძემ უკვე მოაგროვა.

***— თქვენ ამბობთ, რომ ახალი თავმჯდომარე თავაძე იქნება?***

— თავაძეს აქვს მთავრობის მხარდაჭერა, ასევე აქვს მურუსიძის ჯგუფის მხარდაჭერა, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს 5 მოსამართლის ხმაც მისია. ეს მათ ზუსტად დათვალეს. კვორუმზე უკვე იზრუნა მთავრობამ.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თავაძე გახდა, მაშინ ამას მოჰყვება კოლეგიებში მოსამართლეების ისე გადანაწილება, რომ ორივე კოლეგია კონტროლირებადი იყოს. ის 2 ადამიანი, რომლებიც პრეზიდენტის მიერ არის წარდგენილი, ვგულისხმობ იმერლიშვილსა და კვერენჩხილაძეს, სურათს ვეღარ შეცვლის. მაქსიმუმ, გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი დაწერონ, სხვა არაფერი მათ არ შეეძლებათ.

ეს ძალიან ცუდია. ჩემი ეს მოსაზრება თუ არ გამართლდება, ძალიან გამიხარდება, მაგრამ ყველა ლოგიკა, ყველა პროცესი, რომლებიც წარიმართა, სწორედ ამაზე მეტყველებს.

***— კონკრეტულად რომელი პროცესი?***

— რატომ დაიხურა უზენაესი სასამართლოს სხდომა, რა ჰქონდათ დასამალი, როდესაც იუსტიციის საბჭოს სხდომებიც კი საჯაროა ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიისთვის. მათ მოსამართლეთა გასაუბრებაზე დასწრების შესაძლებლობაც კი აქვთ.

***— ბატონო ლევან, საიდან გქონდათ ინფორმაცია, რომ სწორედ თემურ ტულუში გახდებოდა ახალი წევრი, რომელზეც თქვენ რამდენიმე ხნით ადრე გააკეთეთ განცხადება?***

— აგვისტოდან მე და კიდევ რამდენიმე ადამიანს პირველწყაროდან გვქონდა ეს ინფორმაცია, ვინ ვისი მხარდაჭერით გახდებოდა მოსამართლე.

# ტარიელ ფუტკარაძე: „ბათუმის თურქული სკოლის გარშემო არსებული გაუგებრობა ამოიწურება“

**ბათუმში თურქული მხარის დაფინანსებით თურქული სკოლა აშენდა. მისი აშენება აჭარის განათლების სამინისტროსთან შეთანხმებული არ ყოფილა, არც ავტორიზაცია აქვს გავლილი, რასაც ქართული კანონმდებლობა ითვალისწინებს.**

**საქართველოს განათლების მინისტრი ადასტურებს, რომ შენობა კანონის დარღვევით, უნებართვოდ აშენდა. ჯეჯელავას განცხადებით, საქართველოში ასეთი არაერთი სკოლაა.**

**პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებულმა ყველა სახის სკოლამ და უნივერსიტეტმა ავტორიზაცია უნდა გაიაროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.**



გულიკო ბალაძე

***— ბატონო ტარიელ, კიდევ ერთი თურქული სკოლა აშენდა უკანონოდ. როგორც ჩანს, ასეთი სკოლა ბევრია და, ვისაც მოესურვება, ის ხსნის. რა პრობლემებს ქმნის საქართველოში უნებართვოდ გახსნილი არაავტორიზებული საერო თუ რელიგიური სკოლები?***

— კავკასია არის ევრაზიის ცენტრი, რომლის გაკონტროლება უნდა ნებისმიერ ძლიერ გეოპოლიტიკურ მოთამაშეს. არსებობს აქ გავლენის მოპოვების ორი გზა: გენოციდი, საითაც წავიდა დღევანდელი რუსეთი (ქართველთა გენოციდი აფხაზეთსა და ცხინვალის მხარეში) და ცნობიერების შეცვლა, რომელსაც მრავალი საუკუნის განმავლობაში ცდილობდა მეზობელი თუ არამეზობელი დამპყრობლების უმრავლესობა.

ცნობიერების შეცვლა საინფორმაციო ომის ერთ-ერთი მიმართულებაა. საინფორმაციო ომს იგებს ის, ვინც მართავს განათლების სისტემასა და მასმედიას. საქართველოს განათლების სისტემის დაგეგმვის მიმართულებით ბევრი შეცდომა დაუშვა 1992 წლის შემდეგ მოსულმა საქართველოს ყველა ხელისუფლებამ. დღესაც განათლების სისტემის სტრატეგია ორიენტირებული არ არის საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის ინტერესებზე.

***— რა უნდა გაკეთდეს?***

— პირველ რიგში, აუცილებელია, საქართველოში არსებული ყველა კერძო თუ სახელმწიფო საგანმანათლებლო სუბიექტმა გაიაროს ავტორიზაცია და აკრედიტაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სამწუხაროდ, დღეს ბევრი სკოლა თუ უმაღლესი სასწავლებელი არსებობს საქართველოში, რომლებსაც ავტორიზაცია და აკრედიტაცია არ გაუვლიათ.

წარმოდგენა არ გვაქვს, რა სახის საინფორმაციო დივერსიას აწარმოებენ საქართველოს წინააღმდეგ არააკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აქ საუბარია ყველა დაინტერესებულ ქვეყანაზე, რომლებსაც სურთ კავკასიაში გავლენის მოპოვება.

***— რელიგიური უმაღლესი სასწავლებელიც არის?***

— რელიგიური ტიპის უმაღლესი სასწავლებელი არ არის, მაგრამ ბევრია რელიგიური სკოლა. თუმცა, მე აქცენტს მაინცდამაინც რელიგიაზე არ ვაკეთებ. ზოგი ენობრივ დივერსიას აწარმოებს, ზოგი – რელიგიურს, ზოგი – ეთნოკულტურულს. რელიგიის მიმართულებით დივერსიაა ფუნდამენტალიზმიც და ფსევდოლიბერალიზმიც.

მოკლედ, საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ ყველა მიმართულებით მუშაობენ და მთავარი ასპარეზი განათლების სისტემაა. შესაბამისად, აუცილებელია დემოკრატიული ღირებულებების ფარგლებში საქართველოს საინფორმაციო თავდაცვის უზრუნველყოფა საქართველოს განათლების სისტემის დაცვით.

***— ბათუმი და აჭარა უფრო საფრთხილო კუთხეა, მით უმეტეს, რომ ასეთი სკოლა ბოლო 20 წლის განმავლობაში ბევრი გაიხსნა. როგორ უნდა მოევლოს ამ პრობლემას?***

— ბათუმი, აჭარა საფრთხილოზე მეტია: ბათუმი არის მილიარდ-ნახევარი ქრისტიანისა და მილიარდ-ნახევარი მუსლიმანის საზღვარზე არსებული სტრატეგიული ქალაქი. შესაბამისად, აქ გაცილებით მრავალწახნაგოვნადაა გასააზრებელი განათლების პოლიტიკა, ვიდრე სხვა მხარეებში.

***— ბათუმში ახლახან გაიხსნა არაავტორიზებული სკოლა. თქვენ კარგად იცით თურქეთის განათლების პოლიტიკა. თურქეთის ხელისუფლება დაუშვებს, მის ტერიტორიაზე ნებართვისა და აკრედიტაციის გარეშე ვინმემ სკოლა გახსნას?***

— უნებართვო სკოლის გახსნაზე ზედმეტია ლაპარაკი. თურქეთში ცენტრალური ხელისუფლების ნებართვის გარეშე არჩევით საგანს ვერავინ შეიტანს სკოლაში. არა მხოლოდ თურქეთში, არამედ რუსეთშიც და სხვა ქვეყნებშიც. ავტორიზაცია და აკრედიტაცია სკოლის ფუნქციონირების წინაპირობაა.

***— თურქეთი ასეთ სკოლას ნებართვის გარეშე არავის გაახსნევინებს, მაგრამ ჩვენთან ხსნიან.***

— ძალიან ახლოს ვიცნობ თურქეთის ელჩს, ბატონ ზექი ლევენთ გუმრუქჩუს. ღირსეული ადამიანია. ის პატივს სცემს საქართველოს. იმედია, გაკეთდება შესაბამისი განმარტება. წესით, თურქეთის საელჩოც და საქართველოს განათლების სამინისტროც უნდა ყოფილიყვნენ ჩართული ამ საკითხში, ასეთი ხმაური რომ არ ყოფილიყო. თუ გაიხსნება რაღაც სახის სკოლა, უნდა იყოს შეთანხმება სახელმწიფოებს შორის.

დღეს თურქეთი ჩვენი მეგობარია, მაგრამ მეგობრობა არ ნიშნავს რომელიმე მხარის ინტერესების შელახვის დაშვებას. თანამშრომლობა აუცილებელია ყველა მიმართულებით: ათასობით ქართველი მუშაობს თურქეთში და იქაც უნდა იყოს შესაძლებელი ქართული სკოლების გახსნა.

ამჟამად იშხნისა და პარხლის აღდგენა მიმდინარეობს. ქართველი სპეციალისტები ვერ მონაწილეობენ, რადგან თურქეთის ხელისუფლებას არ მიუწვევია ისინი; ოშკის აღდგენაც იგეგმება. აუცილებელია თანამშრომლობა ყველა მიმართულებით და აუცილებელია, ეს მოხდეს ურთიერთპატივისცემის ფონზე.

ქართველები ძალიან ღირსეულად გამოვთქვამთ ჩვენს პოზიციას, მაგრამ ჩვენს აზრს თავს არავის ვახვევთ. ასევე აუცილებელია, თურქეთმაც გაითვალისწინოს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები და კანონმდებლობა.

***— თქვენ იცით, როგორი სკანდალი იყო, როდესაც თურქეთის კონსულმა საქართველოში განაცხადა, რომ ბათუმში ფეთხულა გიულენის მიერ გახსნილ სკოლაში რადიკალურ ისლამს ქადაგებდნენ. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ახლა რა ვითარებაა ამ სკოლასთან დაკავშირებით?***

— ფეთხულა გიულენის გააქტიურება საქართველოში ჩემთვის თავის დროზეც მიუღებელი იყო. სხვადასხვა პოლიტიკური კლანის ხელშეწყობით საქართველოში რელიგიური სკოლების მთელი ქსელი შეიქმნა, თუმცა ეს სხვა თემაა და არა მხოლოდ თურქეთის, არამედ უკვე მსოფლიო პრობლემაა.

ფაქტი ერთია: არცერთი ნორმალური ქვეყანა არ დაუშვებს არაკანონიერი საგანმანათლებლო კერების არსებობას. ბათუმში გახსნილი სკოლისა თუ სხვა საგანმანათლებლო კერების შესახებ სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებას; ეს ნორმალური მოთხოვნაა! იმედი მაქვს, ბათუმის სკოლის გარშემო არსებული გაუგებრობა ამოიწურება და სიტუაცია დალაგდება, თუმცა კიდევ ბევრი არაკანონიერი სკოლაა მისახედი.

***— საგანმანათლებლო დაწესებულებამ აკრედიტაცია რომ გაიაროს, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს? ან კიდევ, არ უნდა გაუქმდეს ისეთი სკოლები, რომლებიც ვერ გაივლიან აკრედიტაციას?***

— განათლების სამინისტროს სჭირდება ძალიან სერიოზული რეფორმა საკანონმდებლო დონეზეც. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ყველა უმცირესობის უფლებას და არც საქართველოს სახელმწიფო ინტერესი უნდა შევლახოთ.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები უჩა ნანუაშვილის წინააღმდეგ

სახალხო დამცველის აპარატის ყოფილი და მოქმედი თანამშრომლები უჩა ნანუაშვილს უპირისპირდებიან.

ილია ჭანტურაია, გიორგი ქაჯაია და მაია ლიპარტელიანი ომბუდსმენს ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის სასამართლოში უჩივიან.

როგორც პრესკონფერენციაზე ილია ჭანტურაიამ განაცხადა, 22 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, ბათილად არის ცნობილი ნანუაშვილის ბრძანება მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

— სასამართლომ საქართველოს სახალხო დამცველს დაავალა სამსახურში ჩემი აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. ამრიგად, სრულად იქნა დაკმაყოფილებული ჩემი სასარჩელო მოთხოვნები. მას შემდეგ, რაც სასამართლო გადაწყვეტილება შევა კანონიერ ძალაში, მე ვაპირებ, რომ სამსახურში დავბრუნდე. სახალხო დამცველს არ აწყობდა და არ აწყობს განსხვავებული აზრის მოსმენა სახალხო დამცველის აპარატში, – აღნიშნა ჭანტურაიამ.

გიორგი ქაჯაიას თქმით კი უჩა ნანუაშვილმა გაკეთებული განცხადებით მას პატივი და ღირსება შეულახა.

— სახალხო დამცველმა გააკეთა ჩემთან დაკავშირებული განცხადება, თითქოს მე ყოველ შესრულებულ დავალებაზე ვითხოვ ფულად წა-



ხალისებას, რომ მე ჩემს თანამშრომლებს შეურაცხყოფას ვაყენებ. ვფიქრობ, რომ ეს განცხადება ლახავს ჩემს პატივსა და ღირსებას, ასევე საქმიან რეპუტაციას და ამ ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოვამზადე სარჩელი, – განაცხადა ქაჯაიამ.

**მედიანიუსი**

# „როცა სასტიკად გაკრიტიკებენ, ე.ი. შენს საქმეს კარგად აკეთებ“

## რადიო თავისუფლება: არასამთავრობოების ხმაური და პოლიტიკოსების მძვინვარება

არჩევნებამდე ორ კვირაზე ნაკლებია დარჩენილი და წინასაარჩევნო კამპანიას მკვეთრად აგრესიული ხასიათი აქვს.

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა სახემ, მანანა კობახიძემ, საინტერესო წინადადება გააჟღერა. მართალია, ის კონკრეტულად რესპუბლიკური პარტიის ლიდერების მიმართ გამოითქვა, მაგრამ მისი სულისკვეთება განზოგადებისა და, ზოგადად, წინასაარჩევნო კამპანიის დახასიათებისთვის იდეალურად გამოდგება.

მანანა კობახიძე ამბობს, რომ რადგან პარტიები ოპონირების რეჟიმში იმყოფებიან, კრიტიკა უნდა აიტანონ. კრიტიკა კი „ერთი ყველას წინააღმდეგ“ რეჟიმში ვითარდება თითქმის ყველა საარჩევნო სუბიექტის მხრიდან და გულისხმობს მოსაზრებას, რომლის თანახმად, საერთოდ გაბათილებული უნდა იყოს ყველა სხვა პოლიტიკური მოთამაშის წვლილი ქვეყნის წინაშე, გარდა საკუთარი პარტიისა.

ამგვარი კამპანია პარტიებს არცთუ შთამბეჭდავ მდგომარეობაში ამყოფებს ამომრჩევლის თვალში, თუმცა რაკი მაღალი მთიდან ნეგატიური კამპანიისა და კომპრომატების ქვები უკვე დაგორებულია, მისი შეჩერება მარტივად ვერ მოხერხდება.

თუ ერთმანეთისადმი მტრულ დამოკიდებულებას საარჩევნო სუბიექტებს აგრესიულ კამპანიად ჩავუთვლით, საკმაოდ გაჭირდება არასამთავრობო სექტორთან მტრული განწყობების დაფიქსირების რაიმე მიზეზით ახსნა.



ანა არგანაშვილი

გასულ კვირას ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში შეხვედრისას განაცხადა:

– ეკა გიგაური იქნებოდა პაგონებიანი გიგაური. იქ ფულზე რომ იყო საუბარი, გიგაურმაც მიიღო რაღაც პაგონები მაგ დროს. მე არ ვიცი ის ჭორები, მაგრამ უწერენ მაგასაც. მე მესამე სექტორს კი არ ვაკრიტიკებ, მე მესამე სექტორში თავშეფარებულ ხალხს ვაკრიტიკებ. ნუ აბინძურებენ ამ სექტორს, გამოვიდნენ [და თქვან], რომ არიან ნაციონალური მოძრაობის წევრები და კეთილი ინებონ და დაირქვან სახელი, რომელიც მათ ეკუთვნის.

ორმაგ დანაშაულს ჩადიან... პოლიცია და პროკურატურა ვალდებულია, ხალხს აცნობოს, რომ აი, კრიმინალი დაისაჯა. როგორ? ამაზე გაცემული ინფორმაცია პოლიტიზირებაა.

ჟურნალისტის კითხვას – და თუ ეს წინასაარჩევნო კამპანიის დროს ხდება? ბიძინა ივანიშვილი ასე პასუხობს:

– რა ვქნათ, თუ სასამართლო ამ პროცესებს დაემთხვა?

ყოფილი პრემიერი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდშიც მესამე სექტორს, ისევე როგორც ჟურნალისტებს, „გამოსწორებისკენ“ არაერთხელ მიუთითებდა. საქართველოს უახლეს ისტორიაშიც არაერთი მაგალითია არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამომჟღავნებისა. წლების წინ ადგილი ჰქონდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დახურვისკენ მიმართულ აქციებს, ასევე 17 მაისის დარბევასა და სხვა შემთხვევებს.



„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ წარმომადგენელი ანა არგანაშვილი „ამერიკის ხმასთან“ ამბობს:

– სამოქალაქო სექტორის გარეშე დემოკრატია შეუძლებელია არსებობდეს, რადგან სამოქალაქო სექტორს აქვს თავისი, ძალიან კონკრეტული როლი: მან უნდა აკონტროლოს და გააკრიტიკოს მთავრობა, პოლიტიკური პროცესები... ამ კრიტიკას თუ სამოქალაქო სექტორს ჩაუთვლიან ნაკლად და ამის გამო მის მიმართ დარტყმებს განახორციელებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათ არ ესმით სამოქალაქო სექტორის როლი. ეს უკანასკნელი კი ყველაზე უფრო ცუდი შეიძლება იყოს მაშინ, როდესაც არავის არ აკრიტიკებს და არის კომფორტის ზონაში. სინამდვილეში, ასეთ სამოქალაქო სექტორს უნდა იწუნებდნენ პოლიტიკოსები.

ანა არგანაშვილის თქმით, დღეს ზოგიერთი მათგანი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოთქმულ კრიტიკას მთავრობის მიმართ, რომელიც პასუხისმგებელია მთელს პროცესებზე, იღებს პერსონალურ კრიტიკად და ვერ ახერხებს კრიტიკის ობიექტის გამიჯვნას.

– ძალიან სამწუხაროა, რომ ის, რაც მოეთხოვება სამოქალაქო სექტორს, ჩათვლილია მის მანკიერ მხარედ. საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებს გვაქვს ასეთი გამოთქმა: „თუ სასტიკად არ გაკრიტიკებენ, ესე იგი, ცუდად მუშაობ და პირიქით – როცა სასტიკად გაკრიტიკებენ, ე.ი. შენს საქმეს კარგად აკეთებ“. ამიტომ პოლიტიკოსებს შეუძლიათ მშვიდად იგრძნონ თავი, მათი სასტიკი კრიტიკა მხოლოდ სიგნალს გვაძლევს, რომ ჩვენ მათ მოდუნების საშუალებას არ ვაძლევთ, ანუ ჩვენ საქმეს კარგად ვაკეთებთ, – ამბობს ანა არგანაშვილი და აგრძელებს საუბარს იმის გახსენებით, რომ არასამთავრობოების მიმართ კრიტიკა დღეს არ დაწყებულა.

ის ამბობს, რომ სწორედ მაშინ რთულდებოდა საქმე ქვეყანაში, როდესაც სამოქალაქო სექტორი იყო ჩუმად.

– დღეს თუ სამოქალაქო სექტორი ხმამაღლა საუბრობს, მხოლოდ დადებითად შეიძლება მივიჩნიოთ. როდესაც არგუმენტების ნაცვლად პერსონალური კრიტიკა იწყება, ეს მიანიშნებს სამოქალაქო სექტორსა და პოლიტიკოსებს შორის დისკურსის დაბალ ხარისხზე, – ამბობს არგანაშვილი.

ის ვერ ხედავს, რომ ვინმეს აინტერესებდეს სამოქალაქო სექტორის მიერ ჩატარებული მონიტორინგი, ანგარიშები და ვინმე რეალურად იყოს მოწოდებული მათ გასათვალისწინებლად.

– როდესაც კონკრეტული დარღვევა ვლინდება, მხოლოდ მაშინ დგებიან თავდაცვის პოზიციაში და იწყებენ მტკიცებას იმისას, რომ დარღვევა არ მომხდარა. დღეს სამოქალაქო სექტორის განვითარების ხარისხი წინ უსწრებს ზოგიერთი პოლიტიკოსის მზაობას, მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიზაციის პროცესში და ეს აუცილებლად დააზარალებს თავად ამ პროცესს, – ასკვნის ანა არგანაშვილი.

საქართველოს სამეზობლოში მრავლადაა მაგალითები, როდესაც ხელისუფლების დამოკიდებულებით არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის მიმართ შეგვიძლია დავინახოთ ქვეყნის რეალური დემოკრატიის ხარისხი.

რუსეთის ფედერაცია განსხვავებული და კრიტიკული მოსაზრების მქონე მესამე სექტორს, მაგალითად, ქვეყნის მოღალატედ კანონის ძალით მიიჩნევს და ატუსაღებს.

**რადიო თავისუფლება**

# პეკინსა და თბილისს შორის პირდაპირი საავიაციო მიმოსვლა დაიწყო

– ჩინეთი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი გეგმები ამ ქვეყანასთან ურთიერთობაში.

ამის შესახებ დიმიტრი ქუმსიშვილმა პეკინსა და თბილისს შორის საავიაციო მიმოსვლის დაწყების შესახებ კომენტირებისას განაცხადა.



**დიმიტრი ქუმსიშვილი:**

– დაიწყო პირდაპირი რეისები თბილისსა და პეკინს შორის, რაც მოგვცემს შესაძლებლობას, გავზარდოთ ტურისტული ნაკადები როგორც ჩინეთიდან, ასევე საქართველოდან. ჩინეთი არის ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი, ხალხთა შორის ურთიერთობები ჩინეთთან განსავითარებელია და ჩვენ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი გეგმები ამ ქვეყანასთან ურთიერთობაში.

* * *

ურუმჩი-პეკინი-თბილისი საჰაერო ხაზის პირველი რეისი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 23 სექტემბერს დაეშვა.

ურუმჩის გავლით, პეკინიდან თბილისის მიმართულებით რეგულარული რეისების განხორციელებას „ჩინეთის სამხრეთის ავიახაზები“ უზრუნველყოფს. ფრენები კვირაში ორი სიხშირით – ყოველ სამშაბათსა და პარასკევს, „ბოინგ-737-800“ ტიპის საჰაერო ხომალდით შესრულდება.

გადაწყვეტილება ჩინეთისა და საქართველოს დედაქალაქებს შორის საავიაციო მიმოსვლის დაწყების შესახებ ავიაკომპანიამ ეკონომიკის სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთან აქტიური მოლაპარაკებების შედეგად მიიღო.

ჩინეთსა და საქართველოს შორის, ბოლო წლებში გაღრმავებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებიდან გამომდინარე, საქართველოს მიმართულება სულ უფრო მიმზიდველი ხდება ჩინური ავიაკომპანიებისთვის.




მიმდინარე წლის ივნისში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ორი ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებას შორის გამართულ მოლაპარაკებებში „Air China“-ს, „Hainan Airlines“-ის და China Eastern Airlines“-ის წარმომადგენლებიც იღებდნენ მონაწილეობას, რომლებმაც ასევე გამოთქვეს დაინტერესება საქართველოს საავიაციო ბაზრის მიმართ.

ეს პროცესები ჩინეთსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ამოქმედების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდება.

**მედიანიუსი**

# პატრიოტთა ალიანსის საარჩევნო რგოლი რუსთავი 2-ის ეთერიდან მოიხსნა



პატრიოტთა ალიანსის საარჩევნო რგოლი რუსთავი 2-ის ეთერიდან მოიხსნა.

ამასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება სამაუწყებლო კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ 24 სექტემბერს გაავრცელა.

– ბოლო ორი დღის განმავლობაში ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერით რამდენჯერმე (სულ 6-ჯერ) უფასო საარჩევნო რეკლამის განთავსების ვალდებულების ფარგლებში გადაიცა პატრიოტთა ალიანსის საარჩევნო რგოლი, რომელიც ატარებს ღიად ანტითურქულ ხასიათს, აღვივებს ეთნიკურ შუღლს და წარმოადგენს ქსენოფობიის პროპაგანდას. აღნიშნული ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რუსთავი 2-ის სარედაქციო პოლიტიკას, რომლის კარდინალურ ხაზს ეთნიკური შუღლის გაღვივებისა და ქსენოფობიისა და დისკრიმინაციის ყველა სხვა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

სამწუხაროდ, შინაარსის ლეგალურ კონტროლზე პასუხისმგებელი პირები არ იმყოფებოდნენ სამუშაო ადგილზე და არც მე, ტელეკომპანიის გენერალურ დირექტორს, მქონდა შესაძლებლობა, თვალყური მიმედევნებინა არხის ეთერისთვის ბოლო ორი დღის განმავლობაში ქვეყანაში არყოფნის გამო.

სრულად ვაცნობიერებთ ჩვენს შეცდომას და სრულად ვიღებთ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე. ტელეკომპანია რუსთავი 2-ის სახელით ბოდიშს ვუხდი თურქეთის სახელმწიფოს, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ თურქებსა და ყველა ჩვენს მაყურებელს, რომელიც ჩვენი ერთგული, პირველ რიგში, ჩვენი სარედაქციო ფასეულობების გამოა.

რაც შეეხება ზემოხსენებულ საარჩევნო რგოლს, იგი მოხსნილია ეთერიდან, რის შესახებაც ხვალ წერილობით ეცნობება მის განმთავსებელ სუბიექტს – პატრიოტთა ალიანსს.

კიდევ ერთხელ გიხდით ბოდიშს, – ნათქვამია გვარამიას განცხადებაში.

**მედიანიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## კალეიდოსკოპი

### ნიუ იორკში ლენინის ძეგლს აიღებენ

ვლადიმერ ლენინის ბრინჯაოს ქანდაკებას, რომელიც ნიუ იორკის ისტ-ვილიჯის რაიონში 1994 წლიდან საცხოვრებელი კომპლექსის „წითელი მოედნის“ სახურავზე იდგა და ხელით ყოფილი მსოფლიოს სავაჭრო ცენტრის ტყუპი კოშკებისკენ მიანიშნებდა, აიღებენ.



5,5 მეტრი სიმაღლის ქანდაკების დემონტაჟის მიზეზი გახდა საცხოვრებელი კომპლექსის კომპანია დერმოთ კომპანის მიერ შეძენა. სახლის ადრინდელმა მფლობელმა, მილიონერმა მაიკლ როზენმა, თავის დროზე ლენინის ძეგლი რუსეთში იყიდა და საკუთარი სახლის სახურავზე დააყენა.

მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ქანდაკებას სხვა რაიონში გადაიტანენ, ხოლო რომელში, ეს ჯერჯერობით უცნობია.

1994 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამოტანილი ქანდაკება ისე დაამონტაჟეს, რომ ლენინს თითით ქვედა ისტ-საიდის რაიონისკენ მიენიშნებინა. ასევე ის უჩვენებდა ცნობილი ტყუპი კოშკებისკენ, რომლებიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული შეტევის შედეგად დაინგრა.

### მოდელმა ეშლი გრეჰემმა ბრიტანული ჟურნალისთვის გაიხადა

მოდელმა პლუს-სიზემ ეშლი გრეჰემმა ბრიტანულ ჟურნალ გრაციისთვის გაიხადა. მანეკენმა ფოტოსესიიდან ერთ-ერთი კადრი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.



სურათისთვის თანდართულ მინაწერში მოდელმა გამოცემის აკაუნტი მიუთითა, ასევე ნიუიორკელი ფოტოგრაფის მეთიუ ეიდსის გვერდი, რომელმაც ფოტოსესია ჩაატარა. გარდა ამისა, მოდელმა საკუთარ გვერდზე ატვირთა ჟურნალ გრაციის სექტემბრის ნომრის გარეკანი, რომლისთვისაც ის გაშიშვლდა კიდეც. აღნიშნული გამოცემა ექსკლუზიურად გამოცემის ხელმომწერებისთვისაა განკუთვნილი.

მოდელის გვერდს სოციალურ ქსელ ინსტაგრამში 2,4 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

### ლეონარდო დი კაპრიო მალიბუში აპარტამენტებს ყიდის



ამერიკელი მსახიობი ლეონარდო დი კაპრიო მალიბუში საკუთარ აპარტამენტებს 11 მილიონ დოლარად ყიდის. ეს საცხოვრებელი „ოსკარის“ პრემიის მომავალმა ლაურეატმა 1998 წელს ფილმ „ტიტანიკის“ გადაღებების დასრულების შემდეგ 1,6 მილიონ დოლარად შეიძინა.

სახლი ცნობილი „მილიარდერების პლაჟზე“ მდებარეობს, სადაც განლაგებულია ისეთი შეძლებული ადამიანების აპარტამენტები, როგორებიც არიან ლარი ელისონი და დევიდ გაფენი.

სახლის ფართობი, რომლიდანაც წყნარი ოკეანის ხედი იშლება, 164 კვადრატულ მეტრს შეადგენს. მასში არის სამი საძინებელი, ულტრათანამედროვე სამზარეულო, სასადილო, სპა. კიბე პირდაპირ პლაჟზე ჩადის.

აღსანიშნავია, რომ ამ პლაჟზე საშუალოდ სახლების ღირებულება 15 მილიონ დოლარს შეადგენს.



### გუჩის რეკლამის ვარსკვლავი 79 წლის ვანესა რედგრეივი გახდა

იტალიური მოდის სახლის გუჩის ახალის რეკლამის ვარსკვლავი გახდა 79 წლის ბრიტანელი მსახიობი ვანესა რედგრეივი.

გადაღებები ჩატსუორტ-ჰაუსში დევონშირის ჰერცოგების რეზიდენციაში გაიმართა, ხოლო ფოტოსურათების ავტორი გლენ ლაჩფორდი გახდა.

ახალ რეკლამაზე მუშაობისთვის ადგილი შემთხვევით არ იქნა შერჩეული. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია გუჩიმ სამწლიანი შეთანხმება გააფორმა ჩატსუორტ-ჰაუსთან რეზიდენციის ტერიტორიაზე კულტურული ღონისძიებების მხარდასაჭერად.

რაც შეეხება რედგრეივს, ეს არ არის პირველი შემთხვევა ცნობილი ასაკოვანი ქალების მოდური ბრენდების სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობისა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბაიდენი: „უკრაინამ ნაბიჯი გადადგა. ახლა რუსეთის ჯერია“



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ მზადაა, შეიმუშაოს „საგზაო რუკა,“ რომელიც დონბასში ვითარების დარეგულირებისთვის არის აუცილებელი.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა, რომ შესაძლოა დათანხმდეს დონბასში არჩევნების ჩატარებასა და რეგიონის განსაკუთრებულ სტატუსს, ოღონდ ერთი პირობით: უკრაინის კონკრეტულ ნაბიჯებს უნდა მოჰყვეს რუსეთის მხრივ ასევე კონკრეტული ნაბიჯები ანუ რუსეთმა გაიყვანოს ჯარი დონბასიდან, ხოლო რუსეთ-უკრაინის საზღვრის დონბასის მონაკვეთზე კონტროლი უკრაინული მხარის ხელში გადავიდეს.

– სხვაგვარად კომპრომისი გამორიცხულია! – აცხადებს პოროშენკო.

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა პოროშენკოს სიტყვებს დადებითი შეფასება მისცა. მან განაცხადა, რომ დონბასისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება დაახლოებით იგივეა, მექსიკამ ტეხასისთვის მსგავსი სტატუსი რომ მოითხოვოს. მიუხედავად ამისა, უკრაინა ამაზე თანახმაა, რაც ქების ღირსია.

– უკრაინამ შემხვედრი ნაბიჯი გადადგა. ახლა რუსეთის ჯერია! მან უნდა გაიყვანოს ჯარი დონბასიდან და საზღვარზე კონტროლი უკრაინელებს გადასცეს! – თქვა ბაიდენმა.

## ტედ კრუზი დონალდ ტრამპს მხარს დაუჭერს



აშშ-ის სენატორმა, რესპუბლიკელმა ტედ კრუზმა განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს დონალდ ტრამპს დაუჭერს.

– ტრამპი უფრო ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე ჰილარი, – თქვა კრუზმა.

აღნიშნული განცხადება ბევრისთვის მოულოდნელი იყო. საქმე ისაა, რომ წინასაარჩევნო კამპანიისას კრუზი ტრამპს მწვავედ აკრიტიკებდა. ეს საარჩევნო კამპანიის შემდეგაც გაგრძელდა. ექსპერტები თვლიდნენ, რომ კრუზი ან ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა, ან ჰილარი კლინტონის მომხრე გახდებოდა.

კრუზმა კი გადაწყვიტა, მხარი ტრამპს დაუჭიროს.

## დააპატიმრებულია ბერლინგტონის მსროლელი



გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (გფბ) დააპატიმრა არკან ჩეტინი, რომელმაც ბერლინგტონის სავაჭრო ცენტრში სროლა ატეხა.

სროლის დროს დაიღუპნენ 3 ქალი, 1 პატარა გოგონა და 1 მამაკაცი.

– სავარაუდოდ, ჩეტინს ტერორისტებთან კავშირი არ ჰქონია. ის მარტო მოქმედებდა, – აცხადებენ გფბ-ს წარმომადგენლები.

## აფეთქება ბუდაპეშტში




ბუდაპეშტის ცენტრში აფეთქება მოხდა. დაშავებულია 2 მოქალაქე.

ა ხ ლ ო მ ა ხ ლ ო მცხოვრები მოსახლეობა იქიდან გაიყვანეს.

აფეთქება გაზის გაჟონვამ გამოიწვია, თუმცა ტერაქტის ვერსიაც ბოლომდე არ არის გამორიცხული.

## მერკელი: „ევროკავშირიდან არალეგალი მიგრანტები უნდა გავაძევოთ“



ვენაში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამიტი შედგა.

გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ ევროკავშირის ტერიტორიიდან უნდა გააძევონ ყველა, ვისაც თავშესაფრის მიცემაზე უარი უთხრეს.

– თუმცა, ამავე დროს, სიკეთისა და ჰუმანიზმის პრინციპებიც არ უნდა დავივიწყოთ, – დასძინა მერკელმა.

## ანტირასისტული მიტინგი ფინეთში

ჰელსინკიში ანტირასისტული მიტინგი შედგა. მასში 15.000 ადამიანი მონაწილეობდა.



– ქვეყანაში ექსტრემიზმი ძლიერდება! ჩვენ ეს არ გვინდა, – სკანდირებდნენ მიტინგის მონაწილენი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

- გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.
- რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# საქართველოს ნაკრები ბრიტანულ მატჩებს დანაკლისით ხვდება

საქართველოს ნაკრებს ორი მატჩი ელის 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე. ჩვენები 3 ოქტომბერს დუბლინში შეიკრიბებიან და პირველად ირლანდიის ნაკრებს 6 ოქტომბერს გაეჯიბრებიან, ხოლო 9 ოქტომბერს კარდიფში უელსისა და საქართველოს დაპირისპირება შედგება.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შემადგენლობა დაასახელა, მაგრამ მალევე ერთი ფეხბურთელი გამოაკლდა – ვლადიმირ ვაისის გუნდს ირლანდიასა და უელსთან მატჩებისთვის ნიკა კვეკვესკირი ვერ დაეხმარება.



ქართველი ფეხბურთელი ორი კვირის წინ მიღებული ტრავმის შემდეგ მკურნალობის კურსს გადის, თუმცა, მედიკოსთა განცხადებით, ფეხბურთელი 6 და 9 ოქტომბრის მატჩებისთვის სრულ მზადყოფნაში ვერ იქნება.

ტრავმისა და არასასურველი სპორტული ფორმის გამო ეროვნულ ნაკრებს უახლოეს მატჩებში ვერც ლევან ყენია, ოთარ მარცვალაძე და ჯაბა კანკავა დაეხმარებიან.

ამ დროისთვის ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში 25 ფეხბურთელია.

**მეკარეები:** გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო, ქუთაისი)

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე (დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), საბა კვირკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ლაშა დვალი (შლიონსკი, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი), ზურაბ ცისკარიძე (ტეპლიცე, ჩეხეთი)

**ნახევარმცველები:** ბუბა დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ვალერი ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ჯიღაური, გიორგი პაპუნაშვილი, ლაშა პარუნაშვილი (ყველა დინამო თბ), ვალერი გვილია (ბატე, ბელარუსი)

**თავდამსხმელები:** დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო თბ), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია) ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი).

# საქართველოს თასზე მეოთხედფინალისტები დაწყვილდნენ



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქართველოს დავით ყიფიანის თასის მეოთხედფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა, რომელშიც სფფ-ის აკადემიის ფეხბურთელმა ლუკა ფერცულიანმა მიიღო მონაწილეობა.

მატჩები 19 ოქტომბერს გაიმართება და შემდეგ ეტაპზე გამსვლელი გუნდები ერთმატჩიან დაპირისპირებაში გამოვლინდებიან.

როგორც წესი, ქვედალიგელი გუნდები მასპინძლები იქნებიან.

ისიც უნდა ითქვას, რომ გუნდები საინტერესოდ დაწყვილდნენ: არის დედაქალაქური, 2 იმერული და ერთიც მეგრული დერბები.

მერანი-კოლხეთი (ფ); ჩიხურა-სამტრედია; დინამო (თბ)-ლოკომოტივი; სულორი-ტორპედო.

# ლივერპული გაყიდვებით ევროპაში ლიდერობს



ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის დროს ლივერპულმა 6 ფეხბურთელი დაიმატა, თუმცა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კლუბმა ფეხბურთელების გაყიდვით უფრო მეტი თანხა მიიღო, ვიდრე ახალწვეულთა სანაცვლოდ გადაიხადა.

უკანასკნელი 6 წლის განმავლობაში ლივერპულმა ფეხბურთელების გაყიდვით ევროპის მასშტაბით ყველაზე მეტი თანხა გამოიმუშავა.

განსაკუთრებით მომგებიანი კლუბისთვის ფერნანდო ტორესის, ლუის სუარესისა და რაჰიმ სტერლინგის გასხვისება იყო. მერსისაიდელთა მთავარ მწვრთნელ იურგენ კლოპს კი სჯერა, რომ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა:

– ეს ბევრ რამეზე მეტყველებს და ნიშნავს, რომ კლუბი იცვლება. აქედან გამომდინარე, არ არის ისეთი წარმატებული, როგორც ყველას სურს. შენ იძულებული ხარ, ცვლილებები გააკეთო და ყველა ზეწოლის ქვეშ იმყოფება.

ბოლო სატრანსფერო ფანჯრის დროს საკმაოდ აქტიურები ვიყავით. არ მინდა, მომავალშიც ასე მოხდეს. თუ ფეხბურთელის ნამდვილად გჯერა, მაშინ მასზე ხელს 1 წლის შემდეგ არ აიღებ. ძალიან მნიშვნელოვანია სტაბილურობის შენარჩუნება. წარმატებულ გუნდებს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ სჭირდება. არ არის საჭირო, ლივერპულისგან შევქნათ კლუბი, რომელიც ფეხბურთელებს ყიდის.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბათუმის დინამო ისევ წაუგებელია

საქართველოს ჩემპიონატის მე-6 ტური ერთი მატჩით დაიწყო. წითელ ჯგუფში ლიდერი ბათუმის დინამო დედაქალაქს ეწვია და დაუმარცხებელ სერიას აგრძელებს.

**<u>საბურთალო – დინამო (ბთ)</u>**

**<u>0:0</u>**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

**საბურთალო:** ქურდაძე, იაშვილი, კარასკო, მარგველაშვილი, ხარაიშვილი, ჩაბრაძე, სანტიაგო ხარა (ფანცულაია 68), გონსალეს ვაგნერი (ბუხაიძე 85), ელვინ ტერა, ალთუნაშვილი (მამუჩაშვილი 76), ფრანცისკო გარსია პენა

**დინამო:** ტიმაფეევი, ტვილდიანი, გოგიტიძე, სუხიაშვილი, კვირკველია, თარხნიშვილი, შონია, ფონიავა (თევდორაძე 85), გეგეჭკორი (ჭკუასელი 79), მარიანოვიჩი (კვანტალიანი 62), ლობჯანიძე



უგოლოდ დასრულდა მეექვსე ტურის შეხვედრა საბურთალოსა და ბათუმის დინამოს შორის. ამ თამაშის შემდეგ ზღვისპირელებმა 12 ქულით პირველ ადგილზე გადაინაცვლეს, ხოლო საბურთალო მე-4 ადგილზე დარჩა.

გულშემატკივარმა დაბალტემპიანი შეხვედრა იხილა – ვერ ვიტყვით, რომ მატჩი სახიფათო მომენტებით დახუნძლული იყო, თუმცა თბილისელებს რამდენიმე კარის აღების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ...

ტაიმის შუაში გონსალეს ვაგნერმა თავის თავზე აიღო თამაში, გზად რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა, კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარე ანატოლი ტიმაფეევმა გადაარჩინა თავისიანები. მალე კი ბათუმელი ლევან შავგულიძის დარტყმული ბურთი მოიგერია ბექა ქურდაძემ. ერთ-ერთ შეტევის დროს ხარაიშვილი-იაშვილის კომბინაცია კარში დარტყმით დასრულდა, მაგრამ მეკარემ ისევ იმარჯვა.

მეორე ტაიმში პირველი ხიფათი აჭარლებმა შექმნეს, როდესაც თეიმურაზ შონია გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ მცველები და მეკარე დარტყმულს გადაეღობნენ და მდგომარეობაც განმუხტეს. როგორც ჩანდა, დინამო ქულაზეც ყაბულს იყო და დიდი ძალებით შეტევაში არ მიდიოდა.

67-ე წუთზე კი სტუმრები გოლს გადაურჩნენ – სწრაფი კონტრშეტევის შემდეგ, გარსია პენამ ნოდარ იაშვილს მოძებნა, რომელმაც ფლანგიდან კარგად ჩააწოდა და ხარაიშვილის ახლოდან დარტყმული თავური მეკარემ სასწაულებრივ მოიგერია.

კიდევ ერთი ხელსაყრელი ეპიზოდი და ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა გიორგი ფანცულაიას მიეცა, რომელიც 68-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, მაგრამ მისი ტექნიკური დარტყმული ახლო მანძილიდან არაზუსტი გამოდგა. საბოლოოდ – 0:0.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 6 | 3 | 3 | 0 | 11-2 | 12 |
| 2.სამტრედია | 5 | 3 | 2 | 0 | 11-5 | 11 |
| 3.კოლხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 4-7 | 9 |
| 4.საბურთალო | 6 | 2 | 2 | 2 | 6-6 | 8 |
| 5.დილა | 5 | 2 | 0 | 3 | 9-9 | 6 |
| 6.სიონი | 6 | 1 | 1 | 4 | 7-11 | 4 |
| 7.ზუგდიდი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-11 | 3 |

# შედეგები

## 24 სექტემბერი

**<u>ფეხბურთი</u>**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ლესტერი .................... 4:1
ბორნმუთი-ევერტონი .................... 1:0
ლივერპული-ჰალი .................... 5:1
მიდლსბრო-ტოტენჰემი .................... 1:2
სტოკი-ვესტ ბრომვიჩი .................... 1:1
სანდერლენდი-კრ.პალასი .................... 2:3
სუონსი-სიტი .................... 1:3
არსენალი-ჩელსი .................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 6 | 6 | 0 | 0 | 18-5 | 18 |
| 2.ტოტენჰემი | 6 | 4 | 2 | 0 | 10-3 | 14 |
| 3.არსენალი | 6 | 4 | 1 | 1 | 15-7 | 13 |
| 4.ლივერპული | 6 | 4 | 1 | 1 | 16-9 | 13 |
| 5.ევერტონი | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4 | 13 |
| 6.მანჩესტერი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-7 | 12 |
| 7.კრ.პალასი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-7 | 10 |
| 8.ჩელსი | 6 | 3 | 1 | 2 | 10-9 | 10 |
| 9.ვესტ ბრომვიჩი | 6 | 2 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 10.უოტფორდი | 5 | 2 | 1 | 2 | 10-9 | 7 |
| 11.ლესტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-11 | 7 |
| 12.ჰალი | 6 | 2 | 1 | 3 | 7-12 | 7 |
| 13.ბორნმუთი | 6 | 2 | 1 | 3 | 4-9 | 7 |
| 14.საუთჰემპტონი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 5 |
| 15.მიდლსბრო | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| 16.სუონსი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 17.ბარნლი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 18.ვესტ ჰემი | 5 | 1 | 0 | 4 | 7-13 | 3 |
| 19.სტოკი | 6 | 0 | 2 | 4 | 4-15 | 2 |
| 20.სანდერლენდი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-12 | 1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრაიტონი-ბარნსლი .................... 2:0
დერბი-ბლექბერნი .................... 1:2
ფულემი-ბრისტოლი .................... 0:4
ლიდსი-იფსვიჩი .................... 1:0
ნორვიჩი-ბარტონი .................... 3:1
ქპრ-ბირმინგემი .................... 1:1
რედინგი-ჰადერსფილდი .................... 1:0
როტერჰემი-კარდიფი .................... 1:2
უენსდი-ნოტინგემი .................... 2:1
ვულვზი-ბრენტფორდი .................... 3:1
ასტონ ვილა-ნიუკასლი .................... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ეიბარი-სოსიედადი .................... 2:0
ხიხონი-ბარსელონა .................... 0:5
ბილბაო-სევილია .................... 3:1
ლას პალმასი-რეალი .................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 6 | 4 | 2 | 0 | 15-6 | 14 |
| 2.ბარსელონა | 6 | 4 | 1 | 1 | 19-6 | 13 |
| 3.ბილბაო | 6 | 4 | 0 | 2 | 9-6 | 12 |
| 4.სევილია | 6 | 3 | 2 | 1 | 11-9 | 11 |
| 5.ლას პალმასი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-11 | 10 |
| 6.ეიბარი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-6 | 10 |
| 7.ატლეტიკო | 5 | 2 | 3 | 0 | 11-2 | 9 |
| 8.ვილიარეალი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-3 | 9 |
| 9.ბეტისი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-11 | 8 |
| 10.სოსიედადი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 11.ლეგანესი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-8 | 7 |
| 12.ხიხონი | 6 | 2 | 1 | 3 | 5-14 | 7 |
| 13.ალავესი | 5 | 1 | 3 | 1 | 4-4 | 6 |
| 14.დეპორტივო | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| 15.ესპანიოლი | 5 | 1 | 2 | 2 | 9-12 | 5 |
| 16.მალაგა | 6 | 1 | 2 | 3 | 5-8 | 5 |
| 17.სელტა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 18.ვალენსია | 5 | 1 | 0 | 4 | 7-11 | 3 |
| 19.გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 6-12 | 2 |
| 20.ოსასუნა | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ელჩე-ლევანტე .................... 0:1
ალმერია-ლუგო .................... 0:0
კორდობა-ხიმნასტიკი .................... 2:0
ვალიადოლიდი-უესკა .................... 1:2
სევილია ბ-ალკორკონი .................... 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

გლადბახი-ინგოლშტადტი .................... 2:0
მაინცი-ლევერკუზენი .................... 2:3
ჰამბურგი-ბაიერნი .................... 0:1
აუგსბურგი-დარმშტადტი .................... 1:0
აინტრახტი-ჰერტა .................... 3:3
ვერდერი-ვოლფსბურგი .................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 5 | 5 | 0 | 0 | 15-1 | 15 |
| 2.დორტმუნდი | 5 | 4 | 0 | 1 | 16-4 | 12 |
| 3.კიოლნი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 4.გლადბახი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-6 | 10 |
| 5.აინტრახტი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-5 | 10 |
| 6.ჰერტა | 5 | 3 | 1 | 1 | 9-7 | 10 |
| 7.ლაიპციგი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 8.მაინცი | 5 | 2 | 1 | 2 | 12-11 | 7 |
| 9.ლევერკუზენი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 10.აუგსბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-6 | 7 |
| 11.ფრაიბურგი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-9 | 6 |
| 12.ვოლფსბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-7 | 5 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 4 | 0 | 4 | 0 | 7-7 | 4 |
| 14.დარმშტადტი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-10 | 4 |
| 15.ვერდერი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-15 | 3 |
| 16.ჰამბურგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |
| 17.ინგოლშტადტი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-10 | 1 |
| 18.შალკე | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰაიდენჰაიმი-კაიზერი .................... 3:0
კარლსრუე-აუე .................... 2:0

**იტალია. სერია ა**

პალერმო-იუვენტუსი .................... 0:1
ნაპოლი-კიევო .................... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 6 | 5 | 0 | 1 | 12-4 | 15 |
| 2.ნაპოლი | 6 | 4 | 2 | 0 | 14-5 | 14 |
| 3.რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 13-5 | 10 |
| 4.ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 5.კიევო | 6 | 3 | 1 | 2 | 7-6 | 10 |
| 6.მილანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 7.ბოლონია | 5 | 3 | 0 | 2 | 7-9 | 9 |
| 8.ჯენოა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 9.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 11.უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 12.სამპდორია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 13.სასუოლო | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| 14.ტორინო | 5 | 1 | 2 | 2 | 8-6 | 5 |
| 15.პესკარა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 16.პალერმო | 6 | 1 | 2 | 3 | 3-7 | 5 |
| 17.კალიარი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 18.ემპოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 19.ატალანტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6-11 | 3 |
| 20.კროტონე | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-ბენევენტო .................... 0:4
კარპი-ენტელა .................... 2:1
ჩიტადელა-ბრეშა .................... 0:3
ლატინა-ტერნანა .................... 1:1
პიზა-ასკოლი .................... 2:1
პრო ვერჩელი-ჩეზენა .................... 1:0
სპეცია-ნოვარა .................... 1:0
ვიჩენცა-აველინო .................... 0:0
სალერნიტანა-ტრაპანი .................... 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ლორიანი-ლიონი .................... 1:0
ბორდო-კაენი .................... 0:0
მონპელიე-მეცი .................... 0:1
ბასტია-გენგამი .................... 1:0
დიჟონი-რენი .................... 3:0
მონაკო-ანჟე .................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 7 | 5 | 1 | 1 | 15-9 | 16 |
| 2.ნიცა | 6 | 4 | 2 | 0 | 11-4 | 14 |
| 3.ტულუზა | 7 | 4 | 2 | 1 | 11-5 | 14 |
| 4.პსჟ | 7 | 4 | 1 | 2 | 15-6 | 13 |
| 5.ბორდო | 7 | 4 | 1 | 2 | 11-8 | 13 |
| 6.მეცი | 7 | 4 | 1 | 2 | 9-8 | 13 |
| 7.გენგამი | 7 | 3 | 2 | 2 | 9-7 | 11 |
| 8.ლიონი | 7 | 3 | 1 | 3 | 13-9 | 10 |
| 9.ბასტია | 7 | 3 | 1 | 3 | 6-5 | 10 |
| 10.რენი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 11.სტ.ეტიენი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 12.ანჟე | 7 | 3 | 0 | 4 | 7-8 | 9 |
| 13.დიჟონი | 7 | 2 | 1 | 4 | 8-10 | 7 |
| 14.კაენი | 7 | 2 | 1 | 4 | 6-14 | 7 |
| 15.მონპელიე | 7 | 1 | 3 | 3 | 6-12 | 6 |
| 16.ლორიანი | 7 | 2 | 0 | 5 | 4-11 | 6 |
| 17.მარსელი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 18.ნანტი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-6 | 5 |
| 19.ნანსი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 20.ლილი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ვალანსიენი-ლანსი .................... 1:2

**ჰოლანდია. ეredივიზიონი**

დენ ჰააგი-ჰერენვენი .................... 0:3
გრონინგენი-ერაკლესი .................... 0:0
აიაქსი-ზვოლე .................... 5:1
ალკმაარი-იგლზი .................... 2:2
ექსელსიორი-პსვ .................... 1:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ფეირენშე-ნასიონალი .................... 0:3
შავიში-ბენფიკა .................... 0:2
ბრაგა-სეტუბალი .................... 2:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ცსკა-კრასნოდარი .................... 1:1
როსტოვი-ლოკომოტივი .................... 1:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ინვერნესი-დანდი .................... 3:1
პარტიკი-მოზერველი .................... 1:1
სელტიკი-კილმანროკი .................... 6:1
ჰართსი-როსი .................... 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ლოზანა .................... 1:3
სტ.გალენი-ბაზელი .................... 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ს.პოლენი-რაპიდი .................... 1:1
აუსტრია-ადმირა .................... 1:2
მატერსბურგი-რიდი .................... 1:1
შტურმი-ვოლფსბერგერი .................... 3:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ბევერენი-ლოკერენი .................... 1:1
გენტი-სტ.ტრუიდენი .................... 2:1
მეხელენი-ვარეგემი .................... 2:3
შარლერუა-ოსტენდე .................... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

იანინა-პლატანიასი .................... 0:0
პანიონიოსი-ვერია .................... 1:2
პანეთოლიკოსი-პანათინაიკოსი .... 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ბაშაკშეჰირი-ოსმანლი .................... 2:2
ტრაბზონი-ქონია .................... 1:0
ბეშიქთაში-გალათასარაი .................... 2:2

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

დუკლა-ბრნო .................... 4:2
ჰრადეც კრალოვე-ზლინი .................... 0:2
სლოვაკო-იიჰლავა .................... 1:1
ბოჰემიანსი 1905-პრჟიბრჟამი .................... 1:0
ტეპლიცე-პლზენი .................... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პოგონი-ლენჩნა .................... 1:1
ლეხია-რუხი .................... 2:1
ზაგლებიე-კრაკოვია .................... 1:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლიმპიკი-დინამო .................... 0:4
შახტარი-ვოლინი .................... 3:0
ზორია-ვორსკლა .................... 2:1

**დანია. სუპერლიგა**

კოპენჰაგენი-ორხუსი .................... 2:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

იონჩოპინგი-კალმარი .................... 0:1

**ნორვეგია. ტიპელიგა**

სარპსბორგი-ვიკინგი .................... 1:0
მიოლდე-რუსენბორგი .................... 1:3

**ფინეთი. თასი**

**ფინალი**

სეინეიოკი-ჰიკი 1:1 .................... (7:6პ)

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ძალოსნობის პრეზიდენტად ისევ კახი კახიაშვილი აირჩიეს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა გაიმართა, სადაც ძირითადი საკითხი პრეზიდენტის არჩევნები იყო.




საპრეზიდენტო არჩევნებში ერთადერთი კანდიდატი – სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, კახი კახიაშვილი მონაწილეობდა, რომელიც ძალოსნობის ფედერაციას 2015 წლიდან ხელმძღვანელობს.

ყრილობას მოწვეული 49 დელეგატიდან ხმის უფლების მქონე 46 დელეგატი დაესწრო, რომლებმაც ღია კენჭისყრაზე ერთხმად დაუჭირეს მხარი კახიაშვილის კანდიდატურას და მოქმედი პრეზიდენტი მომდევნო 4-წლიანი ვადით აირჩიეს.

## ჩინელებმა ბერლუსკონის ყალბი საბუთები შეაჩეჩეს

სკანდალურ ინფორმაციას ავრცელებს პოპულარული იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტი".

როგორც ირკვევა, საფეხბურთო კლუბ მილანის საკონტროლო პაკეტის გაყიდვასთან დაკავშირებით ვითარება გართულდა. იტალიური მედია არ გამორიცხავს, რომ პროცესი კიდევ გაიწელოს, ანაც საერთოდ ჩაიშალოს. საუბარია მილანის გაყიდვაზე, რომელიც ჩინურ კომპანიას სურს.



შეგახსენებთ, რომ სილვიო ბერლუსკონის კომპანიამ წინასწარ შეთანხმებას მიაღწია ჩინურ კონსორციუმთან, რომლის თანახმადაც, აზიელები 740 მილიონ ევროს გადაიხდიან ნოემბერში და მაქსიმუმ იანვარში კლუბი მათ მფლობელობაში გადავა.

გამოცემის მტკიცებით, „ფინინვესტის" იურისტებმა აღმოაჩინეს, რომ ჩინური კონსორციუმისგან თანხის გადამხდელუნარიანობის ყალბი დოკუმენტები მიიღეს და პროცესი გართულებულია.

თუ დადასტურდა, რომ აზიელებმა სილვიო ბერლუსკონის კომპანიას ყალბი დოკუმენტები წარუდგინეს, შეთანხმება, ალბათ, ჩაიშლება და მილანი ძველ მფლობელს დარჩება. თუმცა, ბერლუსკონიმ ჩინელებს ის 85 მილიონი ევრო უნდა დაუბრუნოს, რომელიც სულ ახლახან მიიღო ზამთრის ტრანსფერებისთვის.

ერთია, იტალიელი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ საქმე ასე საგანგაშოდ არ იყოს და ვითარება მარტივად დარეგულირდეს. ჯერჯერობით არცერთი მხარე კომენტარს არ აკეთებს.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

## ასტროპროგნოზი
### 26 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს გიმართლებთ. ჩანაფიქრის რეალიზებას საკმაოდ მარტივად მოახერხებთ. **კურო** – სამომავლო გეგმებში კორექტივები შეგაქვთ. შესაძლოა, ახალი, საინტერესო სამსახურიც იშოვოთ. **ტყუპები** – ნუ დაღონდებით, თუ მოვლენები თქვენთვის სასურველი ფორმით არ წარიმართება. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ. **კირჩხიბი** – სისულელეებზე არ იფიქროთ და, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, სწორი დასკვნები გააკეთეთ. **ლომი** – ჰარმონიული და მშვიდი დღეა. გელით ახალი და სასიამოვნო შეხვედრები. ფინანსებს არ უჩივით. **ქალწული** – წარმატება გელით შემოქმედებით და ფინანსურ საქმიანობაში. იყავით მოწესრიგებული და ოპტიმისტურად განეწყვეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. სიფრთხილე გამოიჩინეთ პარტნიორთან ურთიერთობისას. **ღრიანკალი** – ნებისმიერი ახალი წამოწყება გაამართლებს. ამბიციურობა დაუშვებელია. **მშვილდოსანი** – იმპულსურობა, უტაქტობა თქვენს გეგმებზე ნეგატიურ გავლენას მოახდენს. კომპრომისზე წასვლა აუცილებელია. **თხის რქა** – პარტნიორული ურთიერთობები აქტიურ ფაზაში შედის, ოღონდ სწრაფ შედეგებს ნუ ელით. **მერწყული** – იოლად ნურავის მიენდობით. მატყუარები ცდილობენ, გაგაცურონ. ჯანმრთელობას მიხედეთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი დღეა ოჯახური დღესასწაულების, შემოქმედებითი შეხვედრებისათვის. საიმედო პარტნიორების ყურადღებას იპყრობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## შორტებიანი ქალის ცემისთვის თურქი მამაკაცი დააპატიმრეს

სტამბოლში დააკავეს მამაკაცი, რომელმაც ქალს, რომელიც შორტებში იყო გამოწყობილი, სახეში ხელი გაარტყა.




აღნიშნული ინციდენტი ავტობუსში მოხდა. ყოფილმა მცველმა აბდულა ჩაკიროღლუმ ჩადენილი ქმედება აღიარა და განაცხადა, რომ 23 წლის ქალს ტრადიციებისთვის შეუფერებლად ეცვა.

– მე ვურტყამ იმ ადამიანებს, რომლების ჩაცმულობაც არ მომწონს. სახელმწიფო უნდა სჯიდეს იმათ, ვინც ასე იცვამს, – განაცხადა მან ჩვენების მიცემის დროს.

ჩაკიროღლუს ადამიანების მიმართ შეუწყნარებლობის გაღვივება დასდეს ბრალად. სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, ის ფსიქიკური აშლილობითაა დაავადებული და უკვე რამდენჯერმე დაარღვია მკურნალობის რეჟიმი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თურქულმა საზოგადოებამ დაზარალებული გოგონას მიმართ საკუთარი მხარდაჭერა გამოხატა, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ თავდასხმის დროს იქ მყოფთაგან გოგონას არავინ გამოჰქომაგებია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ფარულიას მწვერთნელი აქებს, ესპანეთსა და სლოვენიაში ქართველები ყოჩაღობენ

დასაწყისი მე-12 გვერდზე

6 ორქულიანის ჩაგდებით თორნიკემ ესპანეთის სუპერთასზე რეალის ვარსკვლავის სერხიო ლულის მიღწევა (5-დან 5 ზუსტი ორქულიანი) გადაფარა და ახალი რეკორდი დაამყარა.

ესპანეთშივე უმაღლესლიგელ ანდორაში დებიუტი ჰქონდა ბექა ბურჯანაძეს, სადაც ასევე გიორგი შერმადინი თამაშობს.

ანდორელებმა ესპანეთის ქალაქ პლატხადაროში დახურული ტიპის შეხვედრა გამართეს რუსეთის ერთ-ერთ წამყვან გუნდ სანკტ-პეტერბურგის ზენიტთან და 9 ქულით დათმეს.

ანდორელთა შემადგენლობაში საუკეთესონი იყვნენ ქართველი ლეგიონერები. ბურჯანაძემ 20 წუთში 18 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა, ხოლო გიორგი შერმადინმა 25 წუთში – 19 ქულა და 8 მოხსნა.

შერმადინი ანდორაში გასულ სეზონშიც გამოდიოდა და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო, ბურჯანაძე კი კლუბს სეზონთშორის პერიოდში შეუერთდა. მან წინა სეზონი მეორე ლიგის კლუბ ლეიმა ბასკეტში გაატარა, სადაც გუნდის ბომბარდირი გახლდათ.

დუდა სანაძემ ახალ კლუბში პირველ წარმატებას მიაღწია. 25 წლის ქართველმა უკანახაზელმა სლოვენიის უმაღლესი ლიგის გუნდ ლასტოვკასთან კონტრაქტი გააფორმა, რის შემდეგაც ამ გუნდის მაისურით მონაწილეობა მიიღო ხორვატი კალათბურთელის მემორიალურ ტურნირში და საბოლოოდ მვპ-ის ტიტულიც დაიმსახურა.

ლასტოვკამ მონაწილეობა მიიღო ხორვატიის ქალაქ პულაში გამართულ იოსიპ სევერის მემორიალურ ტურნირში. კოპერელებმა ჯერ ადგილობრივი კლუბი პულა დაამარცხეს, შემდეგ კი შკრიელევოს სძლიეს და ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ.

ლასტოვკას ორივე მატჩში დუდა სანაძემ ულიდერა: პულასთან 13 წუთში 19 ქულა ჩააგდო, ხოლო შკრიელევოსთან თავი 20 ქულას მოუყარა.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**



## ლამზირა ხოსტოვას

ჩემო ლამაზო ქალბატონო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, მშვიდობას, სიყვარულსა და სიხარულს თქვენს ოჯახთან და კეთილის მსურველებთან ერთად.

თქვენნაირი ქალბატონები ღმერთმა ამრავლოს ამ ქვეყანაზე.

მე თქვენი მადლობელი ვარ თანადგომისთვის. დევნილ, გაჭირვებულ ადამიანს ბევრჯერ დამეხმარე.

ღმერთმა დაგლოცოს და კარგი სურვილები აგისრულოს.

*დიდი პატივისცემითა და სიყვარულით,*
*მაყვალა ფხაკაძე*
*(შენი ცუნცულა)*

## ამერიკელმა თავისი გოგონა ჰიპერმარკეტში თმებით ათრია

ამერიკის ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში მამაკაცმა საკუთარი შვილი, გოგონა, ჰიპერმარკეტში თმებში ხელჩავლებულმა ატარა.



ამ ფაქტის თვითმხილველმა ერიკა ბერჩმა ინციდენტი ფოტოსურათზე აღბეჭდა. მამაკაცს ცალი ხელით გოგონას თმები და ურიკა ეკავა, რომელშიც შეძენილ ნივთებს ალაგებდა.

ბერჩმა ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა.

– მან გოგონას თმები ურიკის სახელურს მიაბა და ასე დაათრევდა გოგონას! ის ეხვეწებოდა: „გთხოვ, გაჩერდი, გპირდები, რომ ასე აღარ მოვიქცევი!" – დაწერა ბერჩმა.

ქალმა მამაკაცის შეჩერება ცადა, მაგრამ ბავშვის მამამ მას მოსთხოვა, აღზრდის პროცესში არ ჩარეულიყო. მან ასევე განაცხადა, რომ პოლიციამ უარი განაცხადა, ამ ინციდენტის გამოძიება დაეწყო, რადგანაც გოგონა არ დაშავებულა.

– მას საკუთარი შვილის აღზრდის უფლება აქვს, – განუცხადეს ბერჩს სამართალდამცავებმა.

## მოგზაურმა კანადის მთებში ჩრდილოეთის ციალი გადაიღო



მოგზაურმა პოლ ჟიჟკამ კანადის კლდოვან მთებში ჩრდილოეთის ციალი გადაიღო. ფოტოგრაფი და კაიაკერი დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა თავის მოგზაურობას. ადგილზე მისულმა მოგზაურმა კამერა ნაპირზე დააყენა, თავად კი კაიაკით ტბაში შეცურა.

– წარმოუდგენლად მშვიდი, ნათელი ღამე იყო, კანანასკისში გოტ-პონდის ზედაპირზე ვარსკვლავები ცეკვავდნენ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ნიჩაბს ღამეულ ცაში ვუსვამდი, – განაცხადა საკუთარი შთაბეჭდილებების შესახებ ჟიჟკამ.

მან აღნიშნა, რომ უღრუბლო და უქარო ამინდის წყალობით ვარსკვლავების ანარეკლი იდეალური იყო.

ფოტოგრაფმა, რომელმაც თავისი სხვა ფოტოსურათებიც გამოაქვეყნა, მათ შორის გრენლანდიაში გადაღებული, ასევე აღნიშნა, რომ თავისი ფოტოსურათებით უზომოდ კმაყოფილია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი



1. ფინიკიელთა მთავარი ქალღმერთი; 2. ... ტერნერი; 3. 10. ხარისხად 78 (ინგლისში, გერმანიაში....); 4. მუხლმოდრეკა და წელში მოხრა ლოცვის დროს; 5. მამალი ირემი, შველი, ჯიხვი და მისთ.; 6. მილიონჯერ მეტის აღმნიშვნელი წინსართი; 7. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 8. ძველებური თოფი; 9. რომის პაპის მმართველობის პერიოდი; 10. მდინარე აფხაზეთში; 11. მდინარის მტაცებელი თევზი; 12. ძალიან იშვიათი ნივთი; 13. ცეცხლის ანადენი; 14. მანქანების მემონტაჟე; 15. ინტუიცია; 16. ... გრუზინსკაია (დასახლება); 17. ნათესების მავნებელი მწერი; 18. უხამსი, უწმაწური; 19. იაპონური თეატრის სახეობა; 20. ინდოეთის ფულის ერთეული; 21. სამკურნალო მცენარე; 22. ხურდა ფული ნორვეგიაში; 23. ჩინეთის დედაქალაქი; 24. პატარა ტანის ცხენის ჯიში; 25. „... იზმაილოვა" (დ.შოსტაკოვიჩის ოპერა); 26. ატლანტის ოკეანეში ჩაძირული ისტორიული გემი; 27. სოფიკო ჭიაურელის სცენური სახე; 28. „... ერგასის დღე"; 29. მთის წაწვეტებული მწვერვალი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მოლი; 2. როდეო; 3. შტამბი; 5. „პოსკო"; 6. კვესტურა; 8. ტრიფოლიატი; 10. ინიესტა; 12. მასტიფი; 14. კაბურა; 15. კახიძე; 16. დრაჟე.

**თარაზულად:** 1. მუჯირი; 4. სპეტაკი; 7. მადერა; 9. ბუფონი; 11. მირკანი; 12. „მთიულური"; 13. ხერესი; 17. ოვაცია; 18. „ზარა"; 19. აფსარუნტი; 20. ჩიჩერონე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სოლისიტორი; 2. მახათა; 3. ბარნელა; 4. ლინზა; 5. სერჟანტი; 6. ჰეკლა; 7. კალორია; 9. შეკელი; 13. დიეზი; 17. ქადა; 18. ლიე.

**თარაზულად:** 1. სუნიზმი; 3. ბუშელი; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. ოსაკა; 12. „მარსალა"; 14. „სტელსი; 15. დმანისი; 16. ტაქსა; 19. ლაზერი; 20. დიონისე; 21. არღანი.

# პატრიარქი კიდევ 700 ბავშვს მონათლავს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე 27 სექტემბერს კიდევ 700 ბავშვს მონათლავს.

44-ე ნათლობა სამების ტაძარში 13 ივლისს, სვეტიცხოვლობას შედგა.

ჯვართამაღლების დღესასწაულზე ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში რიგით 45-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართება. პატრიარქის ნათლულებს საჩუქრად გადაეცემათ ნათლობის მოწმობა და ნათლობის ჯვარი.

ნათლობის დასრულების შემდეგ ტაძარში უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე მიბრძანდება, ტაძარში შეკრებილებს ქადაგებით მიმართავს და თავის ნათლულებს დალოცავს.

ჩვილთა საყოველთაო ნათლობა პირველად 2008 წლის 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე გაიმართა. პატრიარქის ამ ინიციატივის მიზანი საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ილია მეორეს ამ დროისთვის 29.053 ნათლული ჰყავს. ისინი ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილები არიან.

# ახმეტელის თეატრი სოხუმის დაცემის დღეს პრემიერით აღნიშნავს

27 სექტემბერი სოხუმის დაცემის დღეა. ამ თარიღთან დაკავშირებით ახმეტელის თეატრი პრემიერას გამართავს.

„დაბრუნებამდე..." – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც გურამ ბათიაშვილის პიესის „რომა და ჯულიას" მიხედვით რეჟისორებმა ირაკლი გოგიამ და ლაშა გოგნიაშვილმა დადგეს.

ქართველ გიორგისა და აფხაზ ამრას ერთმანეთი უყვართ. ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამო მათ სიყვარულს ოჯახი უპირისპირდება... და ტრაგიკული მოვლენები შექსპირის ყველაზე ცნობილი პიესის მსგავსად ვითარდება.

„ადამიანები არ გაუფრთხილდნენ საკუთარ თავს, შვილებს, არც სამშობლოს გაუფრთხილდნენ, არც ერთად ცხოვრების საუკუნეებს და მიიღეს ის, რაც უნდა მიეღოთ...".

შეყვარებულები, ქართველი გიორგი და აფხაზი ამრა, მესაზღვრეს ესალმებიან. მათ სოხუმში დაბრუნება განიზრახეს.

სპექტაკლის პრემიერა სიმბოლურად 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს გაიმართება. სპექტაკლი ეძღვნება აფხაზეთის საოკუპაციო ხაზთან მოკლული გიგა ოთხოზორიას ხსოვნას.

სპექტაკლის მხატვარი მარიკა კვაჭაძეა, მუსიკალური გამფორმებელი – ირაკლი გოგია. საპრემიერო წარმოდგენაში მონაწილეობენ გიორგი ცხადაძე, მაიკო ვაწაძე, თამარ ბეჟუაშვილი, გიგი მიგრიაული, მამუკა მაზავრიშვილი, მარინა ხარჩილავა, მზია ტალიაშვილი, ვასილ შიხაშვილი, ნელი ბადალაშვილი, ვაჟა ციცილოშვილი, ვალერი ტორონჯაძე, სოფია სებისკვერაძე, თინათინ გვაზავა და ოთარ ჩიქობავა.

# თბილისის თეატრებში წყალი ჩავიდა

თბილისში მოსულმა წვიმამ თეატრები დააზარალა. კინომსახიობთა თეატრში, პანტომიმის თეატრსა და მუსიკისა და დრამის თეატრში წყალი ჩავიდა.

როგორც კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ქეთი დოლიძემ განაცხადა, კინომსახიობთა თეატრში ყოველი წვიმის დროს ასეთი სიტუაციაა. ჭერიდან ყველგან წყალი ჩამოდის და თეატრს აზიანებს:



– ასეთი ამბავია თუმანიშვილის თეატრში! ყველგან!

პანტომიმის თეატრში წვიმამ სარეპეტიციო დარბაზი დატბორა. თეატრის ადმინისტრაციის განცხადებით, მათ ისედაც უმძიმეს პირობებში უწევთ მუშაობა, ამიტომ წვიმა მათთვის კიდევ ერთი დიდი თავსატეხია.

წვიმამ მუსიკისა და დრამის თეატრის შენობაშიც ჩააღწია და თანამშრომლების სამუშაო ოთახები დააზიანა.

ეროვნული მუსიკალური ცენტრი შენობის არქონის გამო დროებით მუსიკისა და დრამის თეატრშია განთავსებული. ეროვნული მუსიკალური ცენტრის ხელმძღვანელ ნინო ნახუცრიშვილის ინფორმაციით, მას ჯერ ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში არსებული უმძიმესი მდგომარეობა ვერ მოუნელებია, ახლა კი ამას მუსიკისა და დრამის თეატრიც დაემატა:

– ეროვნული მუსიკალური ცენტრი... ახლა უკვე მუსიკისა და დრამის თეატრი!!! ნიკოლოზ რაჭველი, შემოგვიარე, აქ კი, პრინციპში, სიმშვიდეა, მაგრამ დარბაზი დაგვემხო და, მგონი, ვიხრჩობით...

# ქართველ მხატვართა კოლექციები ირლანდიაში გამოიფინება

საქართველოს ხელოვნების სასახლესა და ირლანდიის ეროვნულ გალერეას შორის ურთიერთთანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი.



ირლანდიაში საქართველოს ელჩ გია ზურაბაშვილის ორგანიზებით, ერთმანეთს ორი უწყების ხელმძღვანელი შეხვდა. შეხვედრა ირლანდიის ეროვნულ გალერეაში გაიმართა.

შონ რეინბირდსა და გიორგი კალანდიას შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის საფუძველზეც დაიწყება მუშაობა ირლანდიაში ქართული კოლექციებისა და, პირიქით, საქართველოში ირლანდიური ხელოვნების ნიმუშების გამოსაფენად.

შონ რეინბირდმა აღნიშნა, რომ ქართული სახვითი ხელოვნება, განსაკუთრებით თეატრალური მხატვრობა ევროპასა და ირლანდიაში ნაკლებადაა ცნობილი და შეიძლება საინტერესო გამოფენები და ერთობლივი ექსპოზიციები დაიგეგმოს.

ირლანდიის ეროვნული გალერეა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სიძველეთსაცავია. აქ დაცულ 15.000 ნამუშევარს შორისაა კარავაჯოს, გოიას, პიკასოს, მონესა და სხვა მხატვართა შედევრები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### გაეროს გენერალური მდივანი მსოფლიო ლიდერებს გაუმასპინძლდა



ნიუ იორკში გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი საზეიმო სადილზე მსოფლიოს ლიდერებს ხიზილალით ქურქის ქვეშ და სოკოს სოუსიანი ხბოს ხორცით გაუმასპინძლდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი მასმედია გენერალური მდივნის კანცელარიის მდივანზე დაყრდნობით ავრცელებს.

სახელმწიფოების, ხელისუფლების მეთაურებმა და საგარეო საქმეთა მინისტრებმა თავი გაეროს შტაბბინაში მოიყარეს. კერძოდ, საზეიმო სადილს ესწრებოდნენ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, ჩილეს პრეზიდენტი მიშელ ბაჩლეტი, იორდანიის მეფე აბდალა II, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტერეზა მეი, კოლუმბიის პრეზიდენტი ხუან მანუელ სანტოსი, ყატარის ემირი შეიხი ტამიმ ბენ ჰამად ალ-ტანი, ესპანეთის მეფე ფილიპ VI და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

მენიუში შედიოდა ზუთხის ხიზილალა ქურქის ქვეშ, ჭარხლის მწნილი, ლობიო, სალათი ბაზილიკისა და ლაიმის სოუსით. მთავარ კერძად კი წარმოდგენილი იყო ხბოს ხორცი სოკოს სოუსით, ყვავილოვანი კომბოსტოს პიურე ყველით გრიუიერით და სალათი ჭარხლის ფოთლებითა და კონფი ხახვ შალოტისგან.

დესერტის მენიუ შედგებოდა შოკოლადის ტერინისგან კაკალის მუსითა და ჟოლოს ჯემის, ასევე მანგოს ბურთულებისგან.

სტუმრებს სთავაზობდნენ კალიფორნიულ თეთრ ღვინოს, ესპანურ წითელ ღვინოს, იტალიურ თეთრი მუსკატის შუშხუნა ღვინოს, ასევე ყავასა და ჩაის.

### მიშელ ობამამ ფოტოსურათის გადაღებისას მეუღლის პაროდია გააკეთა



აშშ-ის პირველმა ლედიმ მიშელ ობამამ გადაცემაში ლაით შოუ სტივენ კოლბერთან ერთად დაიჩივლა, რომ მის მეუღლეს ფოტოგრაფირება არ ეხერხება. ამის თაობაზე მან წამყვანის თხოვნის პასუხად ისაუბრა, რომელმაც მას სთხოვა, რომ ერთ-ერთი ჟურნალისთვის გადაღებული რომანტიკული ფოტოსურათის ისტორია მოეთხრო. სურათში წყვილი ხელიხელჩაკიდებული დგას ფანჯარასთან და ერთმანეთს შეჰყურებს.

– ფოტოსესიებზე ბარაკი, უბრალოდ, საშინელებაა და მასთან სურათის გადაღებას ვერ ვიტან. დარწმუნებული ვარ, რომ იმ მომენტში მე მას ვეუბნებოდი: „არ შეგიძლია, ყურადღება მოიკრიბო? ფოტოგრაფს ნუ აჩქარებ!" ვინაიდან ის ჩვეულებრივ ამბობს: „ვგონებ, უკვე გადავიღეთ სურათი და შემიძლია, წავიდე?" – განაცხადა პირველმა ლედიმ. მან ასევე ხუმრობით განაცხადა, რომ მის მეუღლეს სულ ორი ღიმილი აქვს და მათი პაროდია გააკეთა.

### შვედებმა მკვლელ მაჩვს ომი გამოუცხადეს

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის კუნძულ სედერმალმის ჰიპსტერის რაიონის მცხოვრებლებმა ომი გამოუცხადეს მაჩვს, რომელმაც ქუჩის, კატა, რომელსაც ისინი საკვებს უნაწილებდნენ, მოკლა.



კატა, სახელად ნისე, კუნძულის ერთ-ერთ ქუჩის ბინადარი იყო 14 წელზე მეტი ხნის განმავლობაში და ყველა ადგილობრივი მცხოვრების საყვარელ ცხოველად ითვლებოდა. ღამით ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ხმამაღალი კნავილის ხმა გაიგონა. ცხოველის დასახმარებლად ქუჩაში გამოსულმა მამაკაცმა გაქცეული მაჩვი დაინახა. კატა, რომელსაც ყელზე ჰქონდა ნაკბენი, მაშინვე ერთ-ერთ ადგილობრივ ვეტერინარულ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ადგილობრივ გაზეთს რაიონის მცხოვრები ერთ-ერთი ქალის სიტყვები მოჰყავს, რომელმაც განაცხადა, რომ მისი მეზობლები აპირებენ, ნისეს სიკვდილში დამნაშავე მაჩვი დაიჭირონ და მოკლან. ასევე სედერმალმის მცხოვრებლებმა ხელისუფლებას საჩივრით მიმართეს მაჩვების რაოდენობის ზრდის გამო, თუმცა ხელისუფლებამ უარი განაცხადა მაჩვების დაჭერაზე. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყოველ წელს ქალაქში 20-მდე ინციდენტი ხდება, რომელშიც ეს ცხოველები მონაწილეობენ.

### იაპონელმა კატას დაბადების დღეზე საგანგებო სადილი მოუმზადა



იაპონელმა ჯუნ იოშიზუკიმ თავისი კატის დაბადების დღის აღსანიშნავად სადილი მოამზადა.

ექსპერიმენტის სახით პატრონმა თავის იუბილარ კატას წინ ორი ჯამი დაუდგა, ერთში მოთავსებული იყო საზეიმო კერძი, ხოლო მეორეში – ჩვეულებრივი კატის საჭმელი. შინაურმა ცხოველმა მშრალ კატის საჭმელს პირი არ დააკარა.

ჯუნმა ამ ყოველივეს ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიში საკუთარ არხზე განათავსა, რომელმაც ერთ დღე-ღამეში 440 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები



### ბექა!

დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო ვაჟკაცო. 43 წელი შეგისრულდა. მწიფობის ხანა გიდგას... ბავშვობიდან უშიშარს, გეგონა, ვერაფერი მოგერეოდა, მაგრამ ვაი, რომ ბედისწერას ვერ გაექეცი. მართალი უთქვამთ, შვილი მხოლოდ დედას უკვდებაო. შენთან ერთად დამთავრდა ჩემი სიცოცხლეც, ჩემო ერთადერთო!.. აბა, რა ჰქვია ჩემს ყოფას უშენოდ, ჩემო სულის ტკივილო?! მენატრები, გაუსაძლისია უშენობა...

ნათელი გეფინოს მარადიულ სასუფეველში, ჩემო მწარედ მოსაგონარო!

*დედა*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

ოთხშაბათი 26 სექტემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ადვოკატები**" 07.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ვულკანი, აფეთქების დროა" 08.00 ან/ფ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ცბიერი მოახლეები**" 12.20 მხ/ფ "**აეროპორტი. კონკორდი 79**" (ა.დელონი) 15.00, 23.10 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ. "ცნობისმოყვარეობა. ადამიანის ბუნება" 20.00 მოამბე+მოამბის სტუმარი 21.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 22.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 00.10 მხ/ფ "**ფანჯარა ეზოს მხარეს**" (გ.კელი) 02.10 მხ/ფ "**მტირალა ბავშვი**" (მ.ჰემინგუეი)

08.00 დ/ფ "ვისკის საიდუმლო" 09.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 10.00 მხ/ფ "**ორი ძმა**" 12.00 ტ/სერ "**ცოდვა და სირცხვილი**" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00, 22.30 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ვისუნთქოთ ან არ ვისუნთქოთ" 18.00, 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 22.00 "გამომძიებელი რეპორტიორი" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 ტ/სერ "**ზღვარს მიღმა**"

05.30 სერ. "**ბამბის ველი**" 06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.30 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 პოლიტიკური თოქ შოუ 23.30 მხ/ფ 01.45 მხ/ფ "**ნოემბრის კაცი**" 03.45 მხ/ფ "**ოთხი ძმა**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**დედოფლის სევდა**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 არჩევანი - 2016 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**კარგი ცოლი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 12.00 შეხვედრები რეგიონულ მედიასთან 13.30 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**ახალი გოგო**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 სერ. "**ჰეროკრატია**" 0.30 მხ/ფ "**ინტერვიუ ვამპირთან**" 2.45 სერ. "**ძვლები**"

06.15 ივერიის ეკლესია 06.35 პატერიკი-რატომ აღიკვეცა ბერად ერთი ქრისტიანიჰ 06.45 ქართული ალბომი "გელა ქოქიაშვილი" 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში 16.25 სპექტაკლი "**ძველი ვოდევილები**" 17.30 ჩვენი ფონდი "წმინდა დიდმოწამე დედოფალი ქეთევანი" 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**დათა თუთაშხია**" VII სერ. 20.40 ძილი ნებისა "ნაცარქექია" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი-ვერცხლისმოყვარეობა-ყოველგვარი ბოროტების ფესვი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.25 საქართველოს სამართლის ისტორია 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 წმინდა დიდმოწამე ქეთევანი 00.25 საუფლონი "ჯვართამაღლება" 01.00 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**ტატიანა**" 10.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.05 სერ. "**ვერონიკა**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.00, 14.05, 1.00 სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.05, 17.05, 3.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35 სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" 19.05 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 21.40 "ღამის კონტაქტი" 23.10 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.3132 | ევრო — 2.5947 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0032 | 100 რუსული რუბლი — 3.6418 |

## ამინდის პროგნოზი 26 სექტემბრისთვის




## 23 სექტემბრიდან



### ილია ჭავჭავაძე
### კაცია-ადამიანი?!

ფართოფორმატიანი, მაღალპოლიგრაფიული, დასურათებული გამოცემა

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 27 სექტემბრიდან

### ედიშერ ყიფიანი
### ტომი II




II ტომში შესულია მწერლის ორი რომანი: „წითელი ღრუბლები“ და „ცაში ასროლილი ქუდები“.

რომანებმა გამოქვეყნებისთანავე მკითხველის მოწონება დაიმსახურა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 30 სექტემბრიდან

### სოლომონ მეფის საგანძური

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

**მაგარი ყდა, 248 გვერდი**



**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

## იუმორი

●●●

რესტორანში ორი სომეხი ორ გოგონას თვალს დაადგამს. ერთი მეორეს ეუბნება:

– მოდი, მივიდეთ და გავიცნოთ.

– დაიცა, ჯერ დანახარჯი გადაიხადონ...

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ბედნიერებას ფულით ვერ იყიდი.

– შენ ფული მომეცი და მე გაჩვენებ, ეგ როგორ კეთდება.

●●●

აფთიაქარს მამაკაცი ეუბნება:

– გამარჯობა, ანტიდეპრესანტი მინდა!

– რეცეპტი გაქვთ?

– ქორწინების მოწმობა არ გამოდგება?

●●●

ორი ძველი, ხანშიშესული ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ასე გვიან რატომ დაქორწინდი?

– იმიტომ, რომ მსურდა, საიმედო და მუდმივი შემოსავალი მქონოდა.

– მერე, ახლა უკვე გაქვს?

– კი, პენსიას ვიღებ.

●●●

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, თუ შეიძლება, მითხარი, აი, ახლა ნაყინი შევჭამე და ქაღალდი სანაგვე ურნაში ჩავაგდე, მანამდე კი ჩვენ არჩევნებზე ვიყავით და შენ რაღაც ქაღალდი ურნაში ჩააგდე. რაშია განსხვავება?

– პრინციპში, არაფერში...

●●●

ბიჭი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, დიდი ხანია, რაც თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ელოდებით?

– კი, დიდი ხანია.

– ჰოდა, აი, მეც მოვედი.

– მაგარია და პრინცი სად არის?

●●●

პოლიციელი სახლში მორიგეობიდან დილით ადრე ბრუნდება. ის იყო, გაიხადა და ლოგინში უნდა ჩაწვეს, რომ ცოლი ეუბნება:

– მაღაზიაში ჩაირბინე და პური ამოიტანე.

ქმარმა ისევ ჩაიცვა ფორმა და მაღაზიაში ჩავიდა. გამყიდველი ეკითხება:

– რა, სამსახურიდან გამოგიშვეს?

– რას მეუბნები?

– აბა, მეხანძრის ფორმა რატომ გაცვია?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 29 სექტემბრიდან




### ჩემი პირველი სიტყვები
### სკოლა

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის.

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებითა და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**

# ფაჩულიას მწვრთნელი აქებს, ესპანეთსა და სლოვენიაში ქართველები ყოჩაღობენ

გოლდენ სტეიტ ვორიორზის მთავარი მწვრთნელი სტივ კერი ერთ-ერთ ინტერვიუში ქართველ ცენტრ ზაზა ფაჩულიაზე საუბრობს. კერი არ მალავს, რომ ზაზას ტრანსფერით კლუბმა მხოლოდ მოიგო და ასეთი კალათბურთელის მის გუნდში ხილვა ახარებს:

– ზაზა ფაჩულიას დამატება ისევე მახარებს, როგორც დურანტის. ამას სერიოზულად ვამბობ. ზაზასნაირი ცენტრის ყოლა გუნდში აუცილებელია, ჩვენ კი ასეთი არ გვყავდა. გვყავდნენ კალათბურთელები, რომლებსაც ამ პოზიციაზე თამაში შეეძლოთ, მაგრამ ზაზას მსგავსი პროფესიონალის პოვნა ძალზე რთულია. მან ყოველთვის იცის, როგორ უნდა ითამაშოს და ჩვენს სტილს კარგად ერგება.



* * *

თორნიკე შენგელიამ ლაბორალ კუჩაში მიმდინარე სეზონის პირველი მატჩი გამართა. ქართველმა ფორვარდმა შედეგიანად ითამაშა და 19 წუთში 16 ქულა მიითვალა, თუმცა მისმა გუნდმა გამარჯვებას ვერ მიაღწია.

ლაბორალ კუჩამ ესპანეთის სუპერთასზე ითამაშა და ნახევარფინალურ მატჩში გრან კანარიასთან 80:84 წააგო. ქართველმა ფორვარდმა 20 წუთში 16 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა.

შენგელიამ სათადარიგოთა სკამზე 5 პერსონალური ფოლის მიღების შემდეგ გადაინაცვლა, მანამდე კი 6-ვე ორქულიანი და 7-დან 4 საჯარიმო გამოიყენა და მის წინააღმდეგ 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## პრინცი ჩარლზი მეუღლე კამილასთან ერთად ახლო აღმოსავლეთს ესტუმრება

უელსის პრინცი ჩარლზი მეუღლე კამილასთან ერთად ნოემბერში ახლო აღმოსავლეთს ეწვევა. ამ ინფორმაციას ბრიტანული პრესა კლარენს-ჰაუსზე დაყრდნობით ავრცელებს.



ბრიტანეთის ხელისუფლების სახელით ჩარლზი და კამილა ბაჰრეინში, ომანსა და არაბთა გაერთიანებულ საემიროებში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ჩავლენ. ვიზიტის მიზანს წარმოადგენს რეგიონში ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცება მნიშვნელოვან პარტნიორებთან.

ეს სამეფო ოჯახის წარმომადგენლების პირველი ვიზიტი არ იქნება ახლო აღმოსავლეთში. მაგალითად, პრინცი ჩარლზი არაბთა გაერთიანებულ საემიროებს ბოლო ათი წლის განმავლობაში ოთხჯერ სტუმრობდა. რაც შეეხება ბაჰრეინს, ამ ქვეყანასთან ლონდონის ურთიერთობა არაერთხელ გამხდარა კრიტიკის საგანი ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ტყის სამკურნალო ბალახი; 4. სამეფო დინასტია ინდოეთში (ძვ.წ. IV-IIსს.); 7. აფრიკული ველური ზოლებიანი ცხენი; 9. ცხენის კისრის დასასრული ბეჭების თავთან; 12. ძლიერი მცენარეული შხამი; 13. ... დეპარდიე; 14. მოხალული მარცვლის ფქვილი; 17. დამარილებული ან შებოლილი ღორის ხორცი; 18. მოწმობა, წერილობითი ცნობა; 19. იდუმალი რამ; 20. მათემატიკური ორწევრი.

**შვეულად:** 1. მთავარი საწყობი; 2. გულიდან გამომავალი მთავარი არტერია; 3. გერმანული ავტომობილი; 4. ტროპიკული ხილი; 5. ისტორიული სახელმწიფო კავკასიაში; 6. ფრანგული სქელი საწებელი; 8. ზოგი სახელმწიფოს გარკვეული ვადით არჩეული მეთაური; 10. ჯარის თანმხლები ნაწილი, რომელიც მას იცავს; 11. სისხლის სამართლის დანაშაული; 14. ზღვის წვრილი თევზი; 15. შეტყობინება, 16. სპორტის სახეობა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*



ლურჯი წითელი ყვითელი შავი